საერთო გაზეთი

№9 (467) • 14 მარტი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

უსიყვარულობის სინდრომი

„ნაციონალებო“, კვირიკაშვილს რომ თხოვთ ბოდიშის მოხდას, თქვენსავით 132 სოფელი დაკარგა თუ აფხაზეთი თუ სამაჩაბლო მიართვა რუსეთს ხონჩით?

გოგი თოფაძე:

მე ისევ იმ აზრზე ვარ, რომ საქართველოს მრეწველობა გადაარჩენს!

ნიკოლოზ მჟავანაძე:

საქართველოს მტერია ის ვინც პრემიერის მიმართვის პოზიციას არ ეთანხმება

რამაზ საყვარელიძე: დიდი ქვეყნების მიერ საინფორმაციო საშუალებების გავლენისგან თავის დაცვის ერთადერთი საშუალება ძლიერი საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობაა

ჯამლეტ ხუხაშვილი:

მოსალოდნელია, იუნესკომ ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიანიჭოს

თამარ ჩიბურდანიძე:

მომაკვდავ ერთა სიაში კი შეგვიყვანა, მაგრამ, ქართველი ერი გადარჩება!

„თავს ვაიძულებ, გავაღწიო სამყაროს მიღმა“

ზვიად ბახუტაშვილი:

ოპერაციები, რასაც ჩაფიძის სახელობის კლინიკაში ვაკეთებთ, ბერნის კლინიკაში ჯერ კიდევ არ დანერგილა

კეშას ბლოგი:

გამოიგზავნე ევროპავ და ამერიკავ, ჩემი ქართველები უკან – ჩემი სირცხვილი და ტკივილი სანახაობა არ არის, რომ სხვებმა უყურონ

უსიყვარულობის სინდრომი

„ნაციონალებო“, კვირიკაშვილს რომ თხოვთ ბოდიშის მოხდას, თქვენსავით 132 სოფელი დაკარგა თუ აფხაზეთი თუ სამაჩაბლო მიართვა რუსეთს ხონჩით?

ვახტანგ ხარჩილავა:

„მიმდინარე წლის აგვისტოში 2008 წლის ომიდან ათი წელი შესრულდება. ამ დრამატულმა მოვლენამ ღრმა კვალი დატოვა ქართველი ხალხის ცნობიერებასა და საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობებში.

გაწყვეტილია დიპლომატიური კავშირები. მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებამ, ფაქტობრივად, ჩიხში მოაქცია ნორმალური სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის დამყარების პერსპექტივა.

ამჟამად ჩვენს წინაშე არის არჩევანი — თარიღს შევხვდეთ ურთიერთბრალდებებითა და მწვავე განცხადებებით, რომელთა ნაკლებობა ამ წლების განმავლობაში ნამდვილად არ იყო, ან გადავდგათ გონივრული, თუნდაც მცირე ნაბიჯები ამ მოჯადოებული წრიდან ჩვენი ურთიერთობების გამოსაყვანად.

ჩვენ ადრეც განვაცხადეთ და კვლავ ვადასტურებთ, რომ დაინტერესებულები ვართ მივაღწიოთ რეალურ პროგრესს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პროცესში, რისთვისაც დავადასტურე ჩემი პირადი ჩართვის მზაობა. მზად ვართ ასევე, პირდაპირი დიალოგისათვის აფხაზებთან და ოსებთან და მისასალმებელი იქნებოდა ამ თვალსაზრისით რუსეთის მხარის რეალურად კონსტრუქციული მიდგომა. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა გონივრული ნაბიჯების გადადგმაც.

სამწუხაროდ, დღეს რთული რეალობის წინაშე ვდგავართ. ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აღვადგინეთ, მაგრამ ტრაგიკული მოვლენების ჯაჭვი დღესაც გრძელდება. ეს ძირს უთხრის ქართულ-რუსულ ურთიერთობათა მოწესრიგების პერსპექტივას. ამის ბოლო ტრაგიკული მაგალითია ორი კვირის წინ ცხინვალში, გაურკვეველ ვითარებაში, ჩვენი მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის სიკვდილი, რომლის ცხედრის გადმოცემა, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების, კათოლიკოს-პატრიარქისა და საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთი მცდელობისა, აქამდე ვერ მოხერხდა ოჯახისათვის.

მივმართავ რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელისუფლებას, რათა დღევანდელი დღისა და მომავალი თაობების პასუხისმგებლობის გაცნობიერებით, გადავდგათ ერთობლივი ნაბიჯები რთული ვითარების დასაძლევად“, — ეს არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მიმართვის ტექსტი რუსეთისადმი, რომელსაც ოპოზიციის მხრიდან მწვავე და აგრესიული შეფასებები მოჰყვა.

●

ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ, რომ ქვეყანა ორ ბანაკად არის გაყოფილი — ერთ მხარეს პროდასავლური ორიენტაციის მოქალაქეები არიან, მეორე მხარეს პრორუსული ორიენტაციის.

ქვეყანა მართლაც ორად არის გაყოფილი, მაგრამ, ჩემი აზრით, არასწორია ის მახასიათებლები, რითაც ამ ორი ბანაკის იდენტიფიცირება ხდება.

ქვეყანა ორადაა გაყოფილი, მაგრამ არა პროდასავლურობისა და პრორუსულობის ნიშნით, არამედ იმის მიხედვით, ვის უყვარს ეს ქვეყანა და ვის არა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ქართველი უყოყმანოდ გეტყვის, რომ ძალიან, ძალიან უყვარს საქართველო, მაგრამ სიყვარული მხოლოდ ბგერათა გროვა ხომ არ არის, ის, პირველყოვლისა, პასუხისმგებლობაა იმის მიმართ, ვინც გიყვარს.

იქ, სადაც პასუხისმგებლობა არ არის, არ არის სიყვარული.

სიყვარულია ის, რაც შენს თავისუფლებას ზღუდავს და პასუხისმგებლობის ჩარჩოებში გაქცევს, რადგან შენი სიცოცხლე გეკუთვნის არა შენ, არამედ იმას, ვინც გიყვარს.

უსიყვარულობა უპასუხისმგებლობიდან იწყება, უპასუხისმგებლობა კი ის ბოროტებაა, რომელიც ყველაფერს ანადგურებს და აცამტვერებს.

სწორედ უპასუხისმგებლო ადამიანებს შეეძლოთ გიორგი კვირიკაშვილის მიმართვა რუსეთისადმი აბუჩად აეგდოთ და მისთვის სამარცხვინო და კოლაბორაციონისტული ეწოდებინათ.

გიორგი კვირიკაშვილის მიმართვა ზუსტად ზის იმ დიპლომატიურ თუ პოლიტიკურ სტანდარტებში, რომლის დაცვითაც ერთი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი მეორე სახელმწიფოს უნდა მიმართავდეს.

მიმართვის ტექსტში, ფაქტობრივად, ყველაფერია ნათქვამი, რისი თქმაც მოცემულ სიტუაციაში საჭირო და აუცილებელი იყო, ოღონდ ნათქვამია დელიკატურად, მოზომილად, პასუხისმგებლობის გრძნობით, ისე, რომ ორ სახელმწიფოს შორის არსებული უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო არ გაფუჭდეს და არ დაზიანდეს.

ძალიან მაინტერესებს, სხვანაირად და სხვაგვარად როგორ უნდა დაწერილიყო ეს ტექსტი, ვიღაც-ვიღაცები ენას რომ აჭარტალებთ და პატრიოტობანას გვეთამაშებით?

„ნაციონალებო“ და ნაციონალების განაჭარო პარტიებო და პოლიტიკოსებო, იქნებ თქვენსავით კვირიკაშვილსაც დედა უნდა ეგინებინა რუსეთისთვის, პუტინისთვის კი ლილიპუტინი ეძახა, როგორც ამას თქვენ აკეთებდით, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო იმისა, საქართველომ თავისი ტერიტორიების 20 პროცენტი რომ დაკარგა.

კიდევ ბევრია დასაკარგი და ამგვარი რიტორიკით შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ, მათ შორის სახელმწიფოებრიობაც.

აქეთკენ გვიბიძგებთ? აქითკენ გვაქეზებთ?

კაცმა რომ გკითხოთ, ვითომ საქართველო გიყვართ, ვითომ პატრიოტები ხართ და ამ დროს იმ ჩიხისკენ მიგვაქანებთ, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს.

თქვენ რუსეთთან ურთიერთობის უკიდურესი გამწვავებისკენ მოგვიწოდებთ, ფაქტობრივად, რუსეთთან ომისკენ მოგვიწოდებთ, იმ ომისკენ, სადაც უეჭველად დავმარცხდებით, რასაც აუცილებლად მოჰყვება ქართული სახელმწიფოს დაშლა და დანაწევრება.

ეს არის ის პროექტი, ის იდეა, რაც არაერთგზის გაჟღერებულა რუსული იმპერიის იდეოლოგებისგან.

შემთხვევით, ამ პროექტის ხორცშესხმას ხომ არ ემსახურებით თქვენ, ოღონდ ემსახურებით პროდასავლურობის ნიღბით, ემსახურებით ფარისევლურად, დემაგოგიურად, კონსპირაციულად, დაშიფრულად, ისე, რომ თქვენს ავ განზრახვაში ეჭვი არავის შეეპაროს.

სხვებს რომ უწოდებთ პროვოკატორებს და აგენტებს, სინამდვილეში სწორედ თქვენ ხომ არ ხართ ნამდვილი პროვოკატორები და აგენტები, რომლებიც სწორედ იმ სახელმწიფოს საიდუმლო დავალებებს ასრულებთ, რომელსაც ზეპირსიტყვიერად „ებრძვით“, საქმით კი მის წისქვილზე ასხამთ წყალს, თან მტრისთვის გაკეთებული ამ საქმით გმირების და პატრიოტების სახელის მოხვეჭა გინდათ, მუქთად, სისხლის და ოფლის დაუღვრელად, იაფფასიანი პიარით, თეატრალიზებული შოუებით და გმირულ-ჰეროიკული შინაარსის კომიკური პერფორმანსებით.

ახლა ტრაგიკულად დაღუპული არჩილ ტატუნაშვილის დრამატული ბედით სპეკულირებთ და ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებთ, მაშინ როცა მშვენივრად იცით, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ტატუნაშვილის ცხედარი დროულად გადმოეცეს ოჯახს.

ესეც არ იყოს, რა მორალური უფლება გაქვთ თქვენ, ვინმეს რაიმე უსაყვედუროთ, თქვენ, რომლებმაც ერთი კი არა, ასობით ტატუნაშვილის გვამი უპატრონოდ მიატოვეთ ბრძოლის ველზე და თავჭუდმოგლეჯილი გამო-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იქნებით, რომ თქვენი უბადრუკი სიცოცხლე გადაგერჩინათ, შემდეგ კი ჩასვრილებს, თავსლაფდასხმულებს და დამარცხებულებს, ცეკვა-თამაში გაგეჩაღებინათ და ფაგებული ომი გამარჯვებად გამოგეცხადებინათ.

მსგავსი უტიფრობა, მსგავსი მკრეხელობა ისტორიას არ ახსოვს, ისე, როგორც არ ახსოვს დამარცხებულ მხარეს ცეკვა-თამაში გაემართოს ყვავ-ყორნების საჯიჯგნად დაყრილი საკუთარი ჯარისკაცების გვამებზე.

რა გიხაროდათ? რა გეზეიმებოდათ? რას დღესასწაულობდით?

ნუთუ იმას, რომ რუსის ჯარმა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე სრული კონტროლის დამყარება მოახერხა, მთლიანად დაიპყრო და თბილისიდან 40 კილომეტრის მოშორებით დადგა?

ახლა რა პროვოკაციებს ხლართავთ და რა შეცდომების დასაშვებად აშანტაჟებთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ ამ ჯარს როგორმე სერიოზული მიზეზი და საბაბი მიეცეს და თბილისისკენ დაიძრას.

ეს გინდათ? ამას ჩალიჩობთ? ამისთვის ძვრებით ტყავიდან?

ეჭვი მაქვს, რომ ამ სააკაშვილებს, ამ ბოკერიებს, მერაბიშვილებს, ვაშაძეებს, ბაქრაძეებს, ოქრუაშვილებს, მელიებს, სამადაშვილებს, საყვარელიძეებს, სხვებსა და სხვებს, სწორედ რუსული „პაგონები“ უბრჭყვიალებთ ევროკავშირში შეკერილი ძვირფასი კოსტუმების ქვეშ, რომლებსაც, დრო მოვა და აუცილებლად გამოაჩენენ.

თუმცა მეტი რაღა გამოჩენა უნდათ — ის უმძიმესი მემკვიდრეობა, რაც მათ თავიანთი მოღვაწეობის შედეგად საქართველოს დაუტოვეს, ერთადერთ სახელმწიფოს, რუსეთს, აძლევს ხელს და შანსს უტოვებს მას ძალიან დიდი ხნით, ლამის სამუდამოდ, დარჩეს აქ.

საქართველოსთვის აი, ამ ტრაგიკული რეალობის შემოქმედები, კიდევ ბედავთ და სხვებს ადანაშაულებთ რუსეთთან ფარულ თანამშრომლობაში?

თუმცა რატომ არ გაბედავთ — ვინმემ მოგკითხათ, ვინმემ წინ

დაგილაგათ თქვენი ავკაცობისა და ავაზაკობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ვინმემ პასუხი გაგებინათ იმის გამო, რაც ჩაიდინეთ?

„ნაციონალური მოძრაობა“ მოითხოვს, გიორგი კვირიკაშვილმა ბოდიში მოუხადოს ქართველ ხალხს და თანამდებობა დატოვოს.

„ნაციონალებო“, კვირიკაშვილს რომ თხოვთ ბოდიშის მოხდას, თქვენსავით 132 სოფელი დაკარგა თუ აფხაზეთი თუ სამაჩაბლო მიართვა რუსეთს ხონჩით?

კვირიკაშვილს ამ მიმართვით არაფერი ჩაუდენია ისეთი, რომ ბოდიში მოიხადოს, მაგრამ თქვენ იმდენი უპატიებელი დანაშაული გაქვთ ჩადენილი, მთელი თქვენი დარჩენილი ცხოვრება პატიებას უნდა ითხოვდეთ.

●

„მე, ხანდახან, ისეთი აზრიც კი მებადება, რომ აღარ ეშველება ამ ქვეყანას“, — ბრძანა პატრიარქმა.

პატრიარქი ის ადამიანი არ არის, რომელსაც შეიძლება რაღაც გაუაზრებლად წამოსცდეს.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი შინაგანი სულიერი ჭიდილის შემდეგ ითქვა ეს ფრაზა, იმ განაჩენს რომ ჰგავს, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

როცა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ არსებულ მდგომარეობას გააანალიზებ, როცა ხედავ, რომ სამღვდელოთა ერთი ნაწილი რაღაც არასამთავრობო ორგანიზაციის მაგვარ სტრუქტურას აყალიბებს და ეკლესიის ორად გახლეჩვას ცდილობს, როცა ვერ ხერხდება ერის ერთი იდეის, ერთი მიზნის გარშემო გაერთიანება, როცა გარშემო ამდენი სისასტიკე, აგრესია, უსიყვარულობა და უღმერთობაა, ცხადია, გეთქმევინება ეს ფრაზა.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად უამრავი განსაცდელისა, დარწმუნებული ვარ, ამ ქვეყანას მაინც ეშველება. ისეთი უსაშველო არაფერი არ ჭირს ამ ქვეყანას, რაც მსოფლიოს უამრავ ქვეყანას არ ჭირს, მათ შორის, ძალიან წარმატებულ ქვეყნებსაც.

არაფერი ისეთი არ ხდება საქართველოში, რაც დანარჩენ სახელმწიფოებში არ ხდება.

იმითვე მინდა დავამთავრო, რითაც ეს წერილი დავიწყე: ქვეყანა ორად არის გაყოფილი, ოღონდ არა პოლიტიკური ორიენტაციის და პოზიციის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, ვის უყვარს ეს ქვეყანა და ვის — არა.

როგორც დასაწყისში ვთქვი, სიყვარული, პირველყოვლისა, პასუხისმგებლობაა და როცა გულწრფელად გიყვარს, პასუხისმგებლობაზე დამყარებული, სიყვარული თვითონვე გიკარნახებს, რა არჩევანი უნდა გააკეთო და რა გზას უნდა დაადგე, რომ ის, ვინც გიყვარს, არ დააზიანო და არ გააუბედურო.

ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შეიძლება კიდევ დიდხანს ვერ აღვიდგინოთ, მაგრამ ნუ მივცემით ამის გამო უკიდურეს სასოწარკვეთას და ნუ დავხატავთ აპოკალიფსურ სურათს, თითქოს ყველაფერი დამთავრდა.

მსოფლიოში, ალბათ, არც არსებობს სახელმწიფო, რომელსც თავისი ისტორიის რომელიღაც მონაკვეთში მსგავსი სიტუაცია არ ჰქონოდეს, მაგრამ დრო გასულა და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩამდგარა.

ტერიტორიული მთლიანობია აღდგენამდე, სჯობს, ქართველთა სულიერი მთლიანობა და ერთიანობა აღვადგინოთ.

ცხადია, საქართველოც, უნდა მას თუ არ უნდა, ჩართულია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში და ეს პროცესები, პირდაპირ თუ ირიბად, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზეც აისახება.

რა თქმა უნდა, პრობლემები არსებობს, მაგრამ ქართველი კაცი იმდენად ნიჭიერია და იმდენად ძლიერია შინაგანად, თანაც პრობლემათა დაძლების ისეთი ისტორიული გამოცდილება აქვს, რომ, მჯერა, ამ პრობლემებსაც დაძლევს.

მთავარია:

„გვიყვარდეს საქართველო, გვიყვარდეს საქართველო, გვიყვარდეს საქართველო, სულზე უფრო მეტად!“

საქართველოს მტერია ის ვინც კვირიკაშვილის მიმართვის პოზიციას არ ეთანხმება

გვესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჟავანაძე.

ევროპელები თურმე ისე „შეაწუხა" საქართველოდან ჩასულმა „კრიმინალებმა" და თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობამ, რომ შეიძლება საქართველოს ვიზალიბერალიზაციას საფრთხე დაემუქროს, ანუ დღის წესრიგში დადგეს გამარტივებული სავიზო რეჟიმის გაუქმების საკითხი.

ვიზალიბერალიზაციის გაუქმებაზე პირველი გერმანიის ხელისუფლება ალაპარაკდა, სწორედ გერმანიამ ჩააგდო საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი და ახლაც ყველაზე მეტად გერმანელები აქტიურობენ. მე არ ვამართლებ ჩვენს იმ თანამოქალაქეებს ვინც იქ ქურდობს და სხვა დანაშაულს სჩადის, მაგრამ ძალიან მეეჭვება, რომ მათ დააქციეს ევროპა. იგივე გერმანიაში უამრავ მძიმე დანაშაული ხდება აზიიდან და აფრიკიდან ჩასული მიგრანტების მიერ, ხალხს სცემენ, აუპატიურებენ, მათ შორის ბავშვებსაც, ძარცვავენ და ხოცავენ, ისეთ საშინელებებს სჩადიან, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მათი შიშით ქუჩაში ვერ გამოდის, თუმცა ევროპული ხელისუფლებები ამაზე დუმს, მარტო ქართველების დეპორტაცია სურთ. საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქე დანაშაულს რომ ჩაიდენს, ცდილობენ დაფარონ ეს ფაქტი. არასამთავრობო ორგანიზაციების „ნაღებს" „დირექტივა" აქვს გაცემული ხელისუფლების მიმართ, რომ არ გაამხილონ რომელი ქვეყნის მოქალაქემ ჩაიდინა დანაშაული, თურმე მათ მიმართ აგრესიაა, ამიტომ კრიმინალების სადაურობა უნდა დავფაროთ. სამაგიეროდ, თუ უცხოეთში რომელიმე ქართველი დაიჭირეს, „რუსთავი-2"-ს პირველ ნიუსად ეს ამბავი აქვს და სხვა ტელევიზიებიც მაშინვე აიტაცებენ ხოლმე. კრიმინალს ეროვნება არ აქვს, საქართველოშიც და დასავლეთშიც ხდება უცხოელების მიერ დანაშაული, მაგრამ მაინც და მაინც ქართველების მიერ ჩადენილ დანაშაულზე რატომ ხდება საგანგაშო ვითარების შექმნა, ვერ ვხვდები. რატომ არ შეიძლება იგივე ევროპამ საქართველოს მოქალაქეებს სამუშაო ვიზები მისცეს, როცა უამრავ თანხას და ჯარისკაცების სიცოცხლეს ვდებთ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში, პროცენტულად რომ ავიღოთ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, საქართველოდან ყველაზე მეტი ჯარისკაცი მიდის „ცხელ წერტილებში" საომრად. ჩვენ სულ არ გვაინტერესებს და არც არაფერში გვჭირდება არც ავღანეთი, არც ერაყი და არც სხვა „დემოკრატიას მოწყურებული" ქვეყნები, მაგრამ იქ სისხლს ვღვრით, რადგან ამას ითხოვენ დასავლელი პარტნიორ-მეგობრები, თვითონ კი სამუშაო ვიზის გაცემა არ უნდათ ჩვენს ხალხზე.

საქართველო დღესაც იმ დილემის წინაშე დგას, რაც საუკუნეების წინ ჰქონდა, დასავლეთს არასდროს აღელვებდა ჩვენი ეროვნული ინტერესები, სულხან-საბა, რომელიც დახმარებას ითხოვდა ევროპისგან, უარით გამოისტუმრეს. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ახლადშექმნილი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა ერთა ლიგაში გაწევრიანებას ითხოვდა, რადგან ლიგის წესდება წევრი ქვეყნის დაცულობას ითვალისწინებდა, ამაზეც უარი გვითხრეს. ახლაც ნატოსკენ მისწრაფების გამო დაისაჯა საქართველო, ძირძველი ქართული მიწები, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი სწორედ ამის გამო ჩამოგვაჭრეს. ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას ვინ ჩივის, დასავლეთს ისიც არ უნდა, რომ ეკონომიურად უკიდურესად შეჭირვებულ ქართველებს სამუშაო ვიზა მისცენ.

— **საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ევროპის საქართველოსადმი მკაცრ პოლიტიკაში რუსეთის კვალს ხედავს. სხვათა შორის, ისეთი ინფორმაციაც გავრცელდა, რომ რუსეთი სპეციალურად არ აუქმებს სავიზო რეჟიმს, რომ სამუშაოს მაძიებელი ქართველები რუსეთს მიაწყდებიან, საქართველო მკვიდრი მოსახლეობისგან დაიცლება და მათ ადგილს უცხოტომელი მიგრანტები დაიკავებენ.**

— რაც შეეხება რუსეთის კვალს, მე არაფერს გამოვრიცხავ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიასა და რუსეთს გარკვეულ საკითხებში შეუთანხმებლობა აქვთ. დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ რუსეთს არ უნდა რომელიმე მის მოწინააღმდეგე ბლოკში მოხდეს საქართველოს ინტეგრაცია. საქრთველო-რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის არსებობას კი, მარტო კრემლს ნუ დავაბრალებთ. ახლახან ქართველებმა უკმაყოფილება გამოთქვეს, რუსეთის მოქალაქეები საქართველოში თავისუფლად ჩამოდიან, ჩვენ კი უვიზოდ არ გვიშვებენ რუსეთშიო. ეს მართლაც არ არის ნორმალური, მაგრამ ვისი ბრალია? როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე ვფიქრობთო, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა საპასუხოდ ბრძანა, ამ პროვოკაციას ქვეყანა არ წამოეგებაო. თანაც ასეთ არადიპლომატიურ განცხადებას, ვიღაც „ენჯეოშნიკი" და რიგითი მოქალაქე კი არა, საკანონმდებლო ორგანოს მეორე პირი აკეთებს, რუსეთის პრეზიდენტს სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე უარს ეუბნება, თურმე არ გვინდა. ამის მერე რატომ გვაქვს პრეტენზია? დარწმუნებული ვარ, რუსეთთან უვიზო მიმოსვლა რომ გვქონდეს, ჩვენი ხალხი ევროპაში სამუშაოს საძებნელად საერთოდ აღარ წავა, ერთადერთი სასწავლებლად და ტურისტებად თუ წავლენ.

ზოგიერთი ტვინგაცხელებული პოლიტიცოს-„ენჯეოშნიკისგნ" განსხვავებით, რუსეთს მართლა არ უნდა საქართველო ქართველებისგან რომ დაიცალოს. ახლახანს ერთ-ერთმა „პროგრესულად მოაზროვნემ" ტელევიზიით განაცხადა, რუსეთს საქართველოს სახელმწიფოებრიობა არ აწყობსო, აბა რა აწყობს, საქართველოს ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს წარმოქმნა, რომელსაც სირიაში გააფთრებული ებრძვის? ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ თუ საქართველო აბორიგენი მოსახლეობისგან დაიცლება, აქ იქნება ტერორისტული შენაერთებით დასახლებული ისლამური სახელმწიფო ჩამოყალიბდება, რაც რუსეთის მტერი იქნება. ამ საეჭვო წარმონაქმნებს ასეთი უჭკუო ჰგონიათ რუსეთის ხელისუფლება, რომ ისედაც ფეთქებადსაშიში ჩრდილო კავკასიის გვერდით, ნელი მოქმედების ნაღმის ჩადება აწყობდეს. მარტო საქართველოს სახელმწიფოებრიობა კი არა, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც აწყობს რუსეთს, ამ ვითომდა ლიბერალი ვაიქართველების გამოსვლების შემხედვარე, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თავად საქართველოს არ აწყობს გაერთიანება. დღეს ქვეყნის ყველაზე დიდი მტრები სწორედ ასეთი ქართველები არიან.

შეიძლება ვიღაცა მატრაკვეცა გამოხტეს, სად წაიღებდა რუსეთი გურია-აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიებს, მათ არ ესაზღვრებათო. ასე არც ყირიმი ესაზღვრებათ, საერთოდ არ აქვთ სახმელეთო კავშირი, მაგრამ მიიერთეს და ზღვაზე ხიდი გადეს რომ დაკავშირებოდნენ. თავისუფლად შეეძლოთ გურია-აჭარა და სამცხე-ჯავახეთში რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შეეყვანათ, ზღვით დაუკავშირდებოდნენ და ეს ტერიტორიები რუსეთის ფედერაციის ნაწილი იქნებოდა. რომ ამბობენ ტაო-კლარჯეთი, ართვინი, ლაზეთი რუსეთმა მისცა თურქეთსო, წაიკითხონ ისტორია, რეალურად ვინ იყო ამაში დამნაშავე და ვინ შეუშალა ხელი სტალინს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეს ტერიტორიები საქართველოს დაბრუნებოდა.

— **პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის რუსეთისადმი მიმართვამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია პოლიტიკურ სპექტრსა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. თქვენ როგორ შეაფასებდით პრემიერის ამ ნაბიჯს?**

— ასეთი განცხადება უფრო ადრე უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. იდიოტის მეტი, არავინ იქნება ამის წინააღმდეგი, მაგრამ მოგვცემენ კი მოლაპარაკების დამოუკიდებლად წარმართვის საშუალებას, ან საერთოდ თუ გაგვიშვებენ მოსალაპარაკებლად მოსკოვში, როცა აშშ-ის უკვე პენსიაზე გასაშვებად გამზადებული ელჩის იან კელის ნებართვის გარეშე, ლამის ნათურა ვერ გამოგვიცვლია სადარბაზოში. პრეზიდენტად წოდებულ მარგველაშვილის განცხადებით, თურმე სტრატეგიული თავშეკავების პოზიცია გვიკავია. ეს პოზიცია კი თურმე იმას ნიშნავს, რომ ქვეყანის აოხრებას მდუმარედ უნდა შევხვდეთ. შეიძლება მეც მქონდა პრეტენზია ბიძინა ივანიშვილს და საერთოდ მთავრობის მიმართ, რომ დაპირება ვერ შესრულდა თუნდაც რუსეთთან ურთიერთობის დალაგების კუთხით, მაგრამ როცა ვხედავ რა წინააღმდეგობებს აწყდება ამერიკის პრეზიდენტი ტრამპი ქვეყნისთვის სასიკეთო ღონისძიებების განხორციელებისას, საკუთარი გუნდის წევრებისგანაც კი, აღარაფერი მიკვირს. ტრამპს უჭირს მომრავლებულ გაზულუქებულ გლობალისტებთან გამკლავება და ბიძინა ივანიშვილი და გიორგი კვირიკაშვილი რას გააწყობდნენ? ჩვენ თუ რუსეთთან ურთიერთობები არ დავალაგეთ, მარტო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს კი არა, გურია-აჭარას, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლსაც დავკარგავთ. 7 მარტს, თურქეთმა დიდი ზარზეიმით აღნიშნეს ქართველი „ოკუპანტებისგან" „გათავისუფლების" 97 წლისთავი, საქართველოს სულ „დუშმანი" უძახეს, თან ისიც აღნიშნეს, ჩვენ მარტო ტაო-კლარჯეთი კი არა, ქობულეთიც გავათავისუფლეთო. ე.ი. ბათუმი და ქობულეთი „გა-

6 გვ. →

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐᲐ

ვაგრძელებთ საუბარს ტელემედიაში არსებულ პრობლემებზე. „საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის რეკლამის განთავსების უფლების მინიჭებამ კერძო ტელევიზიები გააღიზიანა. რამდენად ლოგიკურია საზოგადოებრივი და კერძო ტელევიზიები ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ და რატომ გახდა საზ.მაუ მწვავე თავდასხმის ობიექტი?

— ზოგადად, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის რეკლამის გაზრდა კომერციულ ტელევიზიებს, ცოტა არ იყოს, ნერვებს უშლის იმდენად, რამდენადაც საქართველოში სარეკლამო თანხები საკმაოდ მწირია. თუმცა, მეორე მხრივ, რეკლამის თავისებურებაა მასთან მივიდეს, ვისაც მაყურებელი უყურებს. თუ საზ.მაუ-ს არავინ უყურებს, მაშინ რეკლამა მასთან არ მივა. რაც შეეხება საზოგადოების, ანუ მომხმარებლის დამოკიდებულებას ამ მოვლენის მიმართ — ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ მესამე სექტორმა — არასამთავრობო ორგანიზაციებმაც იმაზე ატეხეს ყვირილი, რაზეც კერძო სექტორი წუხს. ანუ, ისინი, რატომღაც, კერძო სექტორის გვერდით განლაგდნენ. ამ დროს, ამ პროცესში, სწორედ საზოგადოებრივი მხარე არის დაზარალებული და წესით, არასამთავრობოებს როგორც საზოგადოების წარმომადგენლებს, უკმაყოფილება სწორედ საზოგადოების პოზიციიდან უნდა გამოეთქვათ. საზოგადოებრივი ტელევიზიის ძირითადი ფუნქცია სწორედ ის არის, რომ წამგებიანობის მიუხედავად, ექნება თუ არა მას ამისგან მოგება, ხალხს მაღალი ხარისხის პროდუქცია მიაწოდოს, ეს იქნება მუსიკა, კინო, ლიტერატურა თუ სხვა. ანუ, საზოგადოებრივი ტელევიზია გამიზნულია იმისკენ, რომ მოსახლეობა გაზარდოს და მაღალი კულტურის პროდუქციამდე მიიყვანოს. აი, რაზე უნდა ედარდა ჩვენს არასამთავრობო ორგანიზაციებს. წესით, ამ ტიპის პრობლემების წამოწევა და ხმაურია მათი ფუნქცია და არა კომეციული ტელევიზიების მხარდამხარ დგომა.

— მაინც რა არის კერძო ტელევიზიების ასეთი გულისწუხილი. მათი პრობლემა მხოლოდ რეკლამაა თუ ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული?

— ძაღლები ძალიან მიყვარს, მაგრამ მისი თავი, ალბათ, ბევრგან მარხია. ერთ-ერთი ის არის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ: თუ სარეკლამო დროის თანხები განაწილდება, მათ, რა თქმა უნდა, ნაკლები ერგებათ, რაც წუხილის სერიოზული მიზეზია და არც გასაკვირია.

— საზ.მაუს დაფინანსება გამჭირვალეა, მაგრამ ვინ დგას კერძო ტელევიზიების უკან, არ ვიცით, მათი საქმიანობა, აბსოლუტურად, გაუმჭირვალეა. ეს რა საფრთხის შემცველია?

— ეს პრობლემა ყველა ქვეყანას უდგას. თანამედროვე მსოფლიომ აქედან გამოსავალი არ იცის. არადა, ამას თავისი პოლიტიკური მხარე გააჩნია, რაც შემდეგში მდგომარეობს: კი ბატონო, მთავრობა პირდაპირი დირექტივით ტელევიზიას არ მართავს, მაგრამ შეუძლია ამის საფასური მთავრობასთან დაახლოებულ ბიზნესს გადაახდევინოს და პოლიტიკური ზეგავლენა უკვე ეკონომიკური ბერკეტებით მოიპოვოს. ასე, რომ სახელმწიფოს მხრიდან მართვა პოლიტიკურად ნეიტრალური ტელევიზიების არსებობას არ გამორიცხავს. ისინი, ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფების ხელში, შეიძლება, ინსტრუმენტი აღმოჩდნენ. ამ საკითხებზე როცა ვმუშაობდი, ერთი პოლონელი ექსპერტი გვყავდა ჩამოყვანილი. მან, მაშინ როცა ჯერ კიდევ არ იყო ლაპარაკი რუსეთის ჰიბრიდულ ომებსა და საინფორმაციო პოლიტიკაზე, ჩვენ გვითხრა: თქვენ, ღარიბი ქვეყანა ხართ და დიდი ქვეყნების გავლენას წინ ვერაფრით აღუდგებით, ისინი თქვენს მედია-სივრცეს დააფინანსებენ, რითაც თავიანთ საინფორმაციო პოლიტიკას გაატარებენ. ერთადერთი გზა, ამ ყველაფრისგან თავის დაზღვევის, საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნაა — გვითხრა მან. პოსტ.საბჭოთა სივრცეში მართლაც სასწრაფოდ საზოგადოებრივი ტელევიზიები შეიქმნა. ეს ფუნქცია საზოგადოებრივი ტელევიზიისაა — მან იმის გაკეთება უნდა მოახერხოს, რასაც ვერ ან არ ახერხებს კომერციული ტელევიზია. ასე, რომ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის, საინფორმაციო სივრცის დაცვის თვალსაზრისითაც, საზოგადოებრივი ტელევიზია აუცილებელია. ვიმეორებ, სამწუხაროა, რომ ჩვენს არასამთავრობო ორგანიზაციებს ეს მხარე არ ანაღვლებთ.

— თავად მედიას როგორ ესმის სიტყვის თავისუფლება? ტელევიზიები რაც მოეპრიანებათ იმ ინფორმაციას ავრცელებენ, მერე, ამას სიტყვის თავისუფლებად ნათლავენ და პასუხსაც არ აგებენ.

— კი, კი, ასეა, ოღონდ, აქ, ერთი რამ მოხდა, რითაც საქართველო, ამ მხრივ, შეიძლება უნიკალურიც იყოს: მედია ძალიან ძლიერი აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ მან სახელმწიფო სტრუქტურები ძალიან დააშინა. ანუ, პიარ-ამოცანამ ბევრ პოლიტიკოსში მედიის შიში უფრო გამოიწვია, ვიდრე სხვა რამ. მოგეხსენებათ, მედიის მიმართ შიში არც უცხოეთისთვის არის უცხო. მათაც მიაჩნიათ, რომ მედიის გადაკიდება არ ღირს. თუმცა, უცხოეთში არ ხდება ის, რაც შედეგად ჩვენ მივიღეთ. ანუ, სურათი ასეთია: ფაქტობრივად, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელშეწყობით, დაჟინებული მოთხოვნით (მაშინ მე და გიგა ბოკერია ბევრს ვკამათობდით) მედიის მიმართ ყველა ტიპის სანქცია გაუქმდა. კერძოდ, გაუქმდა ის მუხლები, რომლებიც კრძალავდა დეზინფორმაციის გავრცელებას, აუცილებლობას, რათა პროპორცია დაცული ყოფილიყო, ინფორმაციის ცალმხრივად გაშუქების დაუშვებლობას და ა.შ. მაშინ მეგონა, რომ ეს მხოლოდ კამათი იყო რაღაც იდეის გარშემო, თუმცა, „ვარდების რევოლუციის“ მერე მივხვდი, რომ მსგავსი ნაბიჯებით მათ, ფაქტობრივად, „ვარდების რევოლუცია“ გაამზადეს, მას პოლიგონი მოუსუფთავეს. ასე, რომ კანონმდებლობის შექმნა გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურით მოხდა. შედეგად რა მივიღეთ?!

— მედია-საშუალებები რომლებიც სიტყვის თავისუფლებას, დემოკრატიას იჩემებენ, ამ დროს, ძალიან მტრულნი და აგრესიულნი არიან. ამ შემთხვევაში, რა პოლიტიკა აქვს სახელმწიფოს მედიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით?

— ეს ცოტა ძნელი საკითხია — აქვს კი საერთოდ რაიმე პოლიტიკა? — ძალიან მეეჭვება. ასევე, მეეჭვება, რომ გარდა წმინდა პოლიტიკური, საკუთარი პარტიული ინტერესისა, სხვა რამ აწუხებდეთ. პოლიტიკოსებს საკუთარი თავის გარდა ბევრი არაფერი აწუხებთ. შესაბამისად, არ აწუხებთ, რომ შეიძლება საზოგადოებამ სახე დაკარგოს იმის გამო, რომ ხელისუფლება არ მოუვლის მასმედიას. ასეთი ზრუნვის მაგალითები უცხოეთში ბევრია. მაგალითად, ბელგიაში საზოგადოებრივი ტელევიზიის ფონდთან ერთად ბეჭდური მედიის ფონდიც არსებობს. აქაც, იგივე პრინციპი ვრცელდება — ძირითადი მიზანი მაღალი ხარისხის ბეჭდური პროდუქციის ხელშეწყობა და მერე, საზოგადოების გემოვნებაში იმ აზრის ჩამოყალიბებაა, რომ მაღალი ხარისხი დაბალს სჯობს. ჩვენ წინასწარ გავიძახით: საზოგადოებას უკეთესი ურჩევნიაო. საზოგადოებას ურჩევნია უკეთესი ფეხსაცმელი, მანქანა და ა.შ. მაგრამ ხელოვნება, ლიტერატურა, ინტელექტუალური პროდუქცია უკეთესი რომ იყოს, ამას გემოვნების გამომუშავება სჭირდება.

— აშკარაა, ქართული ტელევიზიები ბევრს სცოდავენ. მათი საქმიანობა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ საინფორმაციო ტერორს ხომ არ ჰგავს?

— სპეციფიკა მედიაში დევს. თუკი მედია სახელმწიფოს მიმართ აგრესიას შეინარჩუნებს, იგი უფრო ადვილად გაიყიდება, გასაღდება. მოსახლეობის დიდ ნაწილს სახელმწიფოს მიმართ მისი აგრესია გულს ფხანს. შესაბამისად, მედია არის კიდეც აგრესიული. მოსახლეობა სახელმწიფოსთან მიმართებაში გულს რომ იფხანს, ნუ გაგვიკვირდება. ერთი რეჟისორი წერდა: „ოტელო“ ცამეტჯერ დავდგი და სულ მაწუხებდა კითხვა — რას ერჩოდა იაგო ოტელოს, რატომ ვერ იტანდა. ამასობაში ჯარში წასვლა მომიწია. დაბალი ჩინის ოფიცერი ვიყავი და მივხვდი, რატომ შეიძლება გქონდეს ზედა ჩინის ოფიცრების მიმართ აგრესია. კითხვებიც მომეხსნაო. დაახლოებით, იგივე მდგომარეობაა ფართო საზოგადოებასა და მთავრობას შორის. ზემდგომების მიმართ საზოგადოებაში აგრესია იყო, არის და იქნება. თუკი მედია შემოსავალს სხვაგვარად ვერ გამოიმუშავებს, მაშინ მუდამ აგრესიული იქნება.

— ბატონო რამაზ, სააკაშვილის დროს ტელევიზიები აყვავებულ ქვეყანაზე მოგვითხრობდნენ, ახლანდელს კი პიარი საერთოდ არ ანაღვლებს. რეალურად, როგორ უნდა იყოს?

— მოსახლეობაში აზრის ჩანერგვა — ქვეყანა ყვავისო, საბჭოთა პერიოდშიც იყო, რაც სახარბიელო ნამდვილად არაა. იგივე ხდებოდა სააკაშვილის პერიოდშიც. ასეთი „ჩანერგვით“ ბედნიერი

6 გვ.

საქართველოს მტერია ის ვინც კვირიკაშვილის მიმართვის პოზიციას არ ეთანხმება

← 4 გვ.

თავისუფლებული“ ჰქონიათ, უბრალოდ, ჯერ არ შემოდის ჩვენს იურისდიქციაში. აქამდე ასეთი „დღესასწაული“ არ მოუწყვიათ თურქებს, წელს პირველად აღნიშნეს. ნაცნობმა თურქოლოგმა მითხრა, თურქეთის ელჩმა დაიბარა ქართველი თურქოლოგები, ოღონდ მათ შორის არ ყოფილან ეროვნული პოზიციის მქონე თურქოლოგები, ჩვენ უნდა ვიმეგობროთ, ახლა სხვა პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ საქართველოს მიმართო. ართვინში რაც მოხდა, ამასთან დაკავშირებით ნორმალური ხელისუფლება დაიბარებდა თურქეთის ელჩს და კითხვას დაუსვამდა, საქართველოს თუ დიდგორობის სახელმწიფო დონეზე აღნიშვნის უფლება არ ჰქონდა, რომ თურქეთისთვის არ ეწყენინებინა, რას ნიშნავდა ართვინის „დღესასწაული“ და მეგობარი სახელმწიფოს „დუშმანად“ მოხსენიება. იმ დროს, როდესაც ასეთი საგანგაშო ვითარებაა შექმნილი, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, საქართველოს პარლამენტში და მედიასივრცეში ტრანსგენდერებსა და გენდერულ კვოტებზე მსჯელობენ. „ქართულ ოცნებას“ მოვუწოდებ, მოაშოროს საკანონმდებლო ორგანოდან თუ სხვა სახელმწიფო უწყებებიდან უცხო ქვეყნის აგენტურა, სანამ ესენი თანამდებობებზე იქნებიან და ქვეყნის ბედს წყვეტენ, საქართველოს არაფერი ეშველება.

რუსეთისადმი მიმართვის გამო დღეს ვინც ლანძღავს კვირიკაშვილს, ისინი საქართველოს მტრები არიან. ხელისუფლებამ როდემდე უნდა გაუწიოს ანგარიში ამ ერთი მუჭა რენეგატების ხუშტურებს, რომლებმაც 20 კაცი ძლივს შეკრიბეს კვირიკაშვილის მიმართვის გასაპროტესტებლად. თავმოყვარე ხელისუფლება ამ უცხო ქვეყნების, პირველ რიგში, თურქეთის აგენტურას, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემდა და დაიჭერდა. ეს არის სახელმწიფოებრივი მიდგომა. ძალიან მტკივნეული და დამამცირებელია, როცა მიცვალებულს არ გიბრუნებენ, მაგრამ პროვოკაციაზე არ უნდა წამოვეგოთ და კიდევ უფრო არ უნდა გავამწვავოთ ისედაც დაძაბული ვითარება. ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ საქართველო შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაითრიონ, არჩილ ტატუნაშვილის გამწარებული მშობლების და ახლობლების გამქეზებლებს მინდა მივმართო, რისი მიღწევა გსურთ, იმ ამერიკული „ჯაველინების“ იმედი გაქვთ, რომლებიც 70 მილიონ დოლარად შემოგვასაღეს, როგორ ვერ ხვდებით, რომ კიდევ ერთ ომს საქართველო ვეღარ გადაიტანს? თუ ჭკუას არ მოვუხმობთ, შეიძლება თბილისიც დავკარგოთ და ქურთების ბედი გავიზიაროთ, 50-მილიონიან ერს საკუთარი სახელმწიფო რომ არ გააჩნია.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

დიდი ქვეყნების მიერ საინფორმაციო საშუალებების გავლენისგან თავის დაცვის ერთადერთი საშუალება ძლიერი საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობაა

← 5 გვ.

დიდხანს ვერ იქნები. საკმარისია ერთი ბზარი გაჩნდეს, მთელი საზოგადოება აფეთქდება. მსგავსი აფეთქება საბჭოთა კავშირის მიმართაც ვნახეთ და მიშასიც. ასე, რომ ასეთი ხელოვნური იდეოლოგია დიდი ხეირის მომტანი არ არის. რაც შეეხება საკითხს თუ როგორ ვაკეთოთ პიარი — ეს რთული არ არის, უბრალოდ, სახელმწიფომ პიარისთვის თანხები უნდა გამოყოს და სახელმწიფომ იზრუნოს მოსახლეობას შესაბამისი შეტყობინებები გაუგზავნოს. მედია მრავალფეროვანი უნდა იყოს. ჩვენი პრობლემა იმაშია, რომ ხელთ ერთფეროვანი, მოჭიჭყინე, აგრესიული მედია შეგვრჩა, მეტი არაფერი.

— წელან, საინფორმაციო ტერორი ვახსენეთ. „რუსთავი2“-მა მუხთარლისთან ინტერვიუ ჩაწერა. ამ უკანასკნელმა პრემიერი და ბიძინა ივანიშვილი მის გატაცებაში დაადანაშაულა. ამ ტელევიზიამ საქართველო ტერორისტულ ქვეყნად გამოიყვანა, სადაც ხალხს იტაცებენ. ასე, რისთვის გაისარჯა?



— სახელმწიფო სტრუქტურები ჯანდაბას, „რუსთავი2“-ის ქმედებით, ქვეყანა ვარდება ცუდ დღეში. რაზეც თქვენ ჩივით, ეს იმ პოლიტიკური გუნდის იდეოლოგიით კეთდება, რომელსაც „რუსთავი2“ ერთგულად ემსახურება. თავად „რუსთავი2“ მედია არ არის, ეს არის პარტიული ორგანო. იგი აკეთებს იმას, რასაც პარტია უბრძანებს. ასე, რომ მედიის თავისუფლებაზე კი ლაპარაკობს ბევრს „რუსთავი2“, მაგრამ ყველაზე ნაკლებ თავისუფალი თავად არის.

— „რუსთავი2“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის საკმაოდ დიდი ვალი აქვს. 2001 წელს ტექნიკა შემოიტანეს, რომელიც არ განუბაჟებიათ. სააკაშვილის დროს მილიონები ჩამოაწერეს. ამიტომ ახლაც დიდ გულზე არიან: სახელმწიფო ვალს რატომ გვთხოვსო. ამ დროს, 500 ლარის გადაუხდელობის გამო კონკრეტულ სუბიექტს, შეიძლება წარმოება გაუჩერონ. ეს რას ნიშნავს?

— თქვენს მსჯელობაში ერთი კითხვა მომიმწიფდა. თუკი ქვეყანაში ყაჩაღობა იქნება, თქვენ, პრეტენზია სახელმწიფო სტრუქტურების ანუ, პოლიციის მიმართ გექნებათ თუ ყაჩაღების?! — სახელმწიფოს მიმართ ხომ?! ანალოგიურად, „რუსთავი2“ ყაჩაღობს. ვის მიმართ უნდა გვქონდეს პრეტენზია? — რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მიმართ. თუკი სახელმწიფო მას ყაჩაღობის უფლებას აძლევს, იგი იყაჩაღებს. ისევ იმ პრინციპს მივადექით — მოდი, ჩავაგონოთ და იქნებ ინამუსოს. არ აქვს „რუსთავი2“-ს ეს ნამუსი და მოკალი. ამიტომ, სახელმწიფო მანქანამ ცოტა უფრო გაბედულად, უშიშრად უნდა იმუშავოს, მაშინ აღარ გვექნება ის სურათი, რაც ახლაა — „რუსთავი2“-ის დაძახილზე, პრაქტიკულად, მთელი მთავრობა ცხადდება ინტერვიუს მისაცემად იმიტომ, რომ ამ ტელევიზიის ეშინიათ. აი, როცა მედიის ეშინიათ სწორედ მაშინ ჩნდება ის პრობლემები, რაზეც ახლა, თქვენ, აქცენტს აკეთებთ. ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მედიის შიში დაისადგურებს, ანალოგიური სიტუაცია შეიქმნება. ამიტომ, მთავარია შენს სახელმწიფოს მედიის, ქურდის, მძარცველის არ ეშინოდეს. თუკი შეეშინდება, მძარცველები რომ გამოჩნდებიან, პოლიცია გაიქცევა ხომ?! ანალოგიური პრობლემაა აქაც — თუკი მედია კანონს არღვევს, სახელმწიფოს არ უნდა ეშინოდეს, მაგრამ თუ ეშინია, მაშინ იგი ისევე ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, როგორც შეშინებული პოლიციელი.

— ბატონო რამაზ, ჩვენს ქვეყანაში რიგი ტელევიზიების მფლობელები თამბაქოს მაგნატები არიან. რაში სჭირდებათ მათ ტელევიზიებში მილიონების ხარჯვა? რას აკეთებს ამ დროს სახელმწიფო?

— ვიმეორებ, ჩვენი სახელმწიფოს პრობლემა არის მშიშრობა. სახელმწიფო უნდა ჩაერიოს, მაგრამ არ ერევა. სხვათა შორის, ახლახან, ერთი ყმაწვილი შემხვდა და ხუმრობით ჩაილაპარაკა: მგონი სააკაშვილის დრო მოგვენატროსო. ამაში არ იდო ის აზრი, რომ მას ცოცხები მოენატრა. იგი ერთ-ერთი პირველი იდგა იმ დროს საპროტესტო აქციებზე, მაგრამ მას უშიშარი ხელისუფლება მოენატრა. სააკაშვილის ხელისუფლება უშიშარი ნამდვილად იყო. ჩვენი ხელისუფლება თუ გააცნობიერებს იმას, რომ შეშინებულ სახელმწიფოში ყოფნა ნებისმიერი მოქალაქისთვის მიუღებელია ისევე, როგორც შეშინებული პოლიციელი, იქნებ ცოტა დაფიქრდნენ და სახელმწიფო პრობლემები გადაწყვიტონ.

რაც თქვენ ბრძანეთ, ქვემეხებზე უფრო ხშირად, სულხან-საბასი არ იყოს, სიტყვით დაკოდილობა შეიძლება უარესია, ვიდრე ცულით. აქაც, გამოიძებნებიან ადამიანები რომლებიც ამ მდგომარეობაში გამოსავალს იპოვნიან. მაგრამ იმისთვის, რომ ასეთი ადამიანები გამოჩდნენ, აუცილებელია ჩვენი ძალისხმევა. ამ საკითხებზე მართალი მსჯელობა, განხილვა, მგონი, საშურია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

გოგი თოფაძე:

მე ისევ იმ აზრზე ვარ, რომ საქართველოს მრეწველობა გადაარჩენს!

ვიზალიბერალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გიორგი კვირიკაშვილის მიმართვა და რუსეთთან ურთიერთობის პერსპექტივები – ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს“ პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერი გოგი თოფაძე ესაუბრა:

– დავიწყებ იმით, რომ ევროპასთან უვიზო რეჟიმი უდავოდ პერსპექტიული ნაბიჯია, რომელიც ახალი კონტაქტების დამყრებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების საშუალებას იძლევა, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მას ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობისგან დაცლა მოჰყვა. ვიზალიბერალიზაციის მინიჭებიდან ერთი წლის თავზე, საქართველოდან ჩასული კრიმინალებისა და თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის გამო, გერმანია „შეჩერების მექანიზმის“ ამოქმედებაზე ალაპარაკდა. ამის მიუხედავად, მგონია, რომ ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმი არ ამოქმედდება. ევროპამ მუსულმანური სამყაროს წევრებს არ მიუხურა კარი, რომლებიც ტერაქტებს აწყობენ, ქალებს აუპატიურებენ, შიშს და ქაოსს თესავენ და ქართველებს გამოყრიან? ნებისმიერ შემთხვევაში, მათ ქრისტიანი მუშახელი ურჩევნიათ, ვიდრე ისლამური ქვეყნიდან ჩასულები.

– ხელისუფლება უვიზო რეჟიმის შეფერხების თავიდან აცილებას გამკაცრებული ზომებით აპირებს. ახალი რეგულაციებით, ყველა დამრღვევს უკან დაბრუნების ანუ რეადმისიის ხარჯების გადახდა თავად მოუწევს. ფინანსურ სანქციებთან ერთად, შესაძლოა, გვარის შეცვლის პროცედურებიც გართულდეს.

– მარტო ეს არ გვიშველის. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ სანამ წარმოებებს არ ავამუშავებთ და ხალხს არ დასავაქმებთ, არაფერი გამოვა. ისტორიას თუ გადავხედავთ, უფრო მძიმე პერიოდებიც გვქონია, მაგრამ ყოველთვის ვპოულობდით გამოსავალს. ახლაც ვიპოვით თუ წარმოების ამუშავება და ხალხის დასაქმება მოხერხდა. ამდენი უცხოელი მრჩეველები ჩამოდიან, სავალუტო ფონდი და „მსოფლიო ბანკი“ ჭკუას გვასწავლიან და არავის უთქვამს წარმოება გააკეთეთ და მოსავალი გადაამუშავეთო. პირიქით, წლების მანძილზე ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ ტექნოლოგიებს ჩამოვრჩით და ფასეულს ვერაფერს შევქმნით, ამიტომ წარმოება და სოფლის მეურნეობა უნდა დავივიწყოთ და ტურიზმს და სატრანსპორტო კორიდორის ფუნქციას დავჯერდეთ. რას ვერ შევქმნით, როცა თვითმფრინავიდან დაწყებული, ავტომობილებით დამთავრებული, ყველაფერს ვაწარმოებდით. 5 მილიონზე მეტნი ვიყავით და პროდუქცია ექსპორტზე გაგვქონდა. 300 ღვინის ქარხანა გვქონდა,100-ზე მეტი საკონსერვო და 15 ეთერზეთების ქარხანა, ჩაის ფაბრიკები და ეს ყველაფერი სრული დატვირთვით მუშაობდა. ფაბრიკა-ქარხნები მოშალეს, გაანადგურეს და ჯართად გაყიდეს და მოსახლეობა როგორ უნდა დავასაქმოთ? ახლა ჩვენი მოქალაქეები ჩაის და ციტრუსებს თურქეთში კრეფენ. კიტრი, პომიდორი, კარტოფილი, ხილი და ლამის მწვანილიც შემოგვაქვს და მის ხარისხსაც ვერ ვაკონტროლებთ, ამიტომ მეტწილად, უხარისხო და გემოდიფიცირებული პროდუქცია შემოგვაქვს.

– კი, მაგრამ თქვენი საკანონმდებლო ინიციატივით, საქართველოში ცოცხალი, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემოტანა და წარმოება ხომ აიკრძალა?

– აიკრძალაა, მაგრამ კანონი ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან უნდა შესულიყო, მერე 2018 წლისთვის გადაიტანეს და ჯერჯერობით, ამ მიმართულებით, არაფერი ისმის. სამწუხაროდ, ბევრ ადგილას ტერიტორიებს ეპოტინება. იაპონია კურილიის კუნძულებში ასობით მილიარდებს იხდის და არ თმობენ, მაგრამ ეს კონტაქტები ყველა შემთხვევაში, რაღაცას მოგვიტანს. თუ გვინდა, რომ ოდესმე ჩვენი ტერიტორიები დავიბრუნოთ და რუსეთში ექსპორტი გავიტანოთ, ჩრდილოეთ მეზობელთან რეალური ურთიერთობა უნდა შევქმნათ. დასავლეთმაც გარკვევით მიგვანიშნა, რომ რუსეთთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების გარეშე, მხოლოდ დასავლეთის შეშფოთების ხარჯზე, დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ. ისიც უნდა

ლების მისამართით გაკეთებულ განცხადებას ოპოზიციამ უღირსი და კაპიტულანტური უწოდა, თუმცა განცხადების გაკეთებიდან 24 საათის შემდეგ, ცხინვალის რეგიონში გარდცვლილ არჩილ ტატუნაშვილთან ერთად დაკავებული ლევან ქუტაშვილი და იოსებ პავლიაშვილი გაათავისუფლეს და ისინი უკვე საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებიან. თქვენ როგორ შეაფასებთ გიორგი კვირიკაშვილის მიმართვას?

– ყველამ ვიცით, რომ რუსეთი „საჩუქარი“ არაა და ამზელა ქვეყანა კიდევ სხვების ტერიტორიებს ეპოტინება. იაპონია კურილიის კუნძულებში ასობით მილიარდებს იხდის და არ თმობენ, მაგრამ ეს კონტაქტები ყველა შემთხვევაში, რაღაცას მოგვიტანს. თუ გვინდა, რომ ოდესმე ჩვენი ტერიტორიები დავიბრუნოთ და რუსეთში ექსპორტი გავიტანოთ, ჩრდილოეთ მეზობელთან რეალური ურთიერთობა უნდა შევქმნათ. დასავლეთმაც გარკვევით მიგვანიშნა, რომ რუსეთთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების გარეშე, მხოლოდ დასავლეთის შეშფოთების ხარჯზე, დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ნატოსთან ერთად, საქართველოში თურქეთიც შემოვა. ეს რომ რუსეთმა დაუშვას, ჩრდილოეთ კავკასიასაც დაკარგავს. 2021 წელს ყარსის ხელშეკრულებიდან, რომლის ძირითადი მხარეები რუსეთი და თურქეთი არიან, 100 წელი სრულდება, ამიტომ რუსეთის ლანძღვა კარგს არაფერს მოგვიტანს. რეალურად, მსოფლიოს ახლა სხვა პრობლემები აქვს და საქართველოს ბედი არავის აწუხებს. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, მაგრამ პრინციპულები უნდა ვიყოთ და აგრესიულ მეზობელთან საერთო ენა უნდა მოვნახოთ და ეკონომიკის გაძლიერებაზე ვიმუშაოთ. პრობლემების შესახებ ყოველ წუთს გვესმის, მაგრამ არვინ ამბობს ბოლო წლებში რამდენი სიკეთე გაკეთდა. რა თქმა უნდა, ხარვეზები არის, შეიძლება სახსრებიც არასაკმარისია, მაგრამ შეუძლებელია, გონიერმა ქართველმა არ აღიაროს, რომ წარმოების გარეშე, ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება. მჯერა, რომ უახლოეს წლებში ეს საკითხები დღის წესრიგში დადგება. ფაბრიკა-ქარხნები ისევ აგუგუნდება და ემიგრანტები დაბრუნდებიან. მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ასე იქნება.

ნელი თორდია
571 35 36 88

მოსალოდნელია, იუნესკომ ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიანიჭოს

„საერთო გაზეთის“ სტუმარია საქართველოს ებრაელთა ისტორიის ეროვნული მუზეუმის გადარჩენის ფონდის ხელმძღვანელი, ცნობილი სპორტული კომენტატორი, ბატონი ჯამლეთ ხუხაშვილი.

— ბატონო ჯამლეთ, ყოველთვის საამაყო იყო ქართველებსა და ებრაელებს შორის ურთიერთობა, მეგობრობა და სიყვარული. რა გაგრძელება და რა პერსპექტივები აქვს ამ კავშირს?

— ჩვენ ერთად მოვდივართ, აგერ, უკვე, 27 საუკუნეა და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ქართველებს ეთქვათ — ებრაელები მოღალატეები არიან, ან სხვა უარყოფითი რამ ჩვენზე. თუ რაიმე უკმაყოფილება ყოფილა, ეს იყო გამონაკლისი, რაც ყველგან და ყველას შორის შეიძლება მოხდეს.

ჩვენ, ებრაელები, საუკუნეებია აქ ვართ, ქართულ ენაზე ვსაუბრობთ, ქართულად ვიძინებთ, ქართულად ვიღვიძებთ, სიზმრებსაც ქართულად ვხედავთ, გვიყვარს საქართველო, თუმცა ვისაც სურვილი ჰქონდა, ადრეც და ახლაც, სწავლობდა და სწავლობს ივრითს. ეს მისასალმებელია. კარგია, როცა ორი ენა იცი, შეიძლება ითქვას, ორი მშობლიური ენა გაქვს — ერთი გენეტიკური, მეორე — ისტორიული, საქართველოში დამკვიდრებული ჩვენი დიდი წინაპრების ენა.

ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობა ეს არის იმ ტოლერანტობის გამოხატულება, რაც საქართველოში არსებობს ყველა სხვა ერის მიმართ, მაგრამ, რადგან ქართულ-ებრაული ურთიერთობები განსაკუთრებულია, ბოლო ხანებში დაიბადა აზრი, რომ იუნესკომ ამ ორ ერს შორის ურთიერთობას არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიანიჭოს. დიახ, ამაზე უკვე დაიწყო საუბრები და რადგან საუბრები დაიწყო, ეს უკვე დიდი წარმატებაა. ამ აღიარებას დიდი დრო სჭირდება, ოფიციალური ბარიერების გადალახვა, მაგრამ, დამეთანხმებით, თუნდაც პროცესი, თავისთავად, სასიხარულოა.

კიდევ ვიმეორებ, ის ტოლერანტულობა, რაც გამოხატულია საქართველოში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს შორის, მისასალმებელია. მით უმეტეს, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს უფროსმა ზაზა ვაშაყმაძემ მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწია ამ მიმართულებით. პრობლემები ახლაც არის. უპრობლემოდ არაფერი არ არსებობს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არც ერთი ეთნოსის წარმომადგენელი უკმაყოფილო არ გახლავთ.

პირადად მე, მოხარული ვარ იმით, რომ ქართულ-ებრაული ურთიერთობები იმ ფაზაში გადადის, რომ ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის კავშირები ღრმავდება. დროა უკვე, საქართველოსა და ისრაელს შორის მყარი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება დამყარდეს. ნაბიჯები იდგმება, მაგრამ ეს უნდა გახდეს უფრო ინტენსიური ჩვენი ისტორიის გათვალისწინებით.

ქართველმა ებრაელებმა შეესანიშნავად ვიცით, რომ ჩვენს წინაპართა ძვლები ქართულ მიწაში განისვენებს და ამ ხსოვნას მეხსიერებიდან ვერავინ ვერ ამოშლის. ჩვენ ამას ვაფასებთ და ვუფრთხილდებით.

— 90-იან წლებში ბევრი ებრაული ოჯახი წავიდა საქართველოდან. ეს განშორება ორივე მხარისთვის მტკივნეული იყო. თქვენ იცნობთ, სავარაუდოდ, საქართველოდან წასულ ბევრ ებრაელს, რა განწყობა აქვთ. რას ფიქრობენ დღეს საქართველოზე?

— იცით, ალბათ, ალია სხვადასხვა ეტაპებისგან შედგება. პირველი ალია 60-იანი წლების ბოლოს მოხდა, მეორე 70-იანი წლების შუა ხანებში, 80-იან წლებში და შემდეგ 90-იანებში. იმ პერიოდში ძალიან აირია სიტუაცია საქართველოში და ხალხი გაეცალა ამ მდგომარეობას. მაშინ ებრაელები კი არა, ქართველებიც კი გარბოდნენ საქართველოდან. აქედან წასული ებრაელი ზოგი ისრაელში დასახლდა, ზოგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ დაივიწყეს საქართველო.

განშორებას ქართველები და ებრაელები ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდნენ. 70-იანი წლების ალიას დროს, მაშინ, როცა ე.წ. „რკინის ფარდა“ კვეთდა ქვეყნებს, საქართველოდან ტირილითა და მოთქმით მიდიოდნენ, მაგრამ ახლა მიმოსვლა გაადვილდა, კომუნიკაციები გამარტივდა, სტუმრობაც შეიძლება და მასპინძლობაც უფრო ადვილია. მოკლედ, ქართველებსა და ებრაელებს შორის არსებობს ძალიან ძმური, მეგობრული ურთიერთობა.

ჩვენ, ებრაელებმა, ცოტა არ იყოს, შეგვიძლია ვიტრაბახოთ, რომ ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში ყოველთვის ვიღებდით აქტიურ მონაწილეობას.

საქართველოში ქართველი ებრაელების რაოდენობა დღეს ძალიან შემცირდა, მაგრამ უნდა ითქვას: არის ბევრი შერეული ოჯახი. მშვიდობით და სიყვარულით ცხოვრობს იუდეველი ქრისტიანთან ერთად. ეს ქართულ-ებრაული ოჯახები არის ჩვენი სიყვარულის კიდევ ერთი სიმბოლო.

თუ არ ვცდები, 1994 წელი იყო, მახსოვს, პარლამენტის თავმჯდომარემ ვახტანგ გოგუაძემ თქვა მაშინდელი ალიას დროს — ღმერთმა ნუ ქნას, საქართველო ებრაელების გარეშე დარჩესო.

საქართველო ებრაელების გარეშე არ დარჩება, რადგან როგორც ზემოთ ვქვით, მრავალი შერეული ოჯახი არსებობს.

დღეს საქართველოში უამრავი ებრაელი ჩამოდის. ზოგი ტურისტული ვიზიტით, ზოგიერთი საქმიანი განზრახვით, ზოგი მათგანი პირველად არის საქართველოში. ისინი სიამოვნებით ეცნობიან ისტორიულ ქართულ ღირსშესანიშნაობებს.

დაახლოებით, 120 ავიარეისი სრულდება თვეში ისრაელიდან თბილისში, ეს არის ძალიან საიმედო და სანუგეშო რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც კმაყოფილი და გახარებული ბრუნდებიან ისრაელში. მათ მოსწონთ საქართველოს კუთხეები, ქართული სტუმარ-მასპინძლობა. ამაზე მოუთხრობენ შემდეგ თავის მეგობრებს ისრაელში. ასე გრძელდება ჩვენი გზა.

— სახელმწიფოებრივადაც მყარდება ეს კონტაქტები?

— ეს ურთიერთობები სახელმწიფოებრივადაც მხარდაჭერილია. იქაური ბიზნესმენები ჩამოდიან, აწარმოებენ ბიზნესსაქმიანობას საქართველოში, ჩართულნი არიან სამშენებლო ბიზნესებში. რა თქმა უნდა, ამას ხელისუფლება დადებითად ხვდება. რადგან ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის მყარი ურთიერთობები არსებობს. თუმცა ეს არ არის საკმარისი. ამ ურთიერთობების სახელმწიფო დონეზე გასაღრმავებლად მუშაობენ ცალკეული ორგანიზაციები, ხელისუფლების წარმომადგენლებიც და ჩვენც. ხალხმა უნდა შევუწყოთ ყოველივე ამას ხელი.

— ბოლო ხანებში პრობლემები ექმნებათ ქართველებს ისრაელის საზღვრის გადაკვეთისას. არ გვაქვს ილუზია, რომ ვინმეს უმიზეზოდ აბრუნებდნენ უკან, მაგრამ, მოგეხსენებათ, ძალიან ბევრი უკმაყოფილოა ამ ფაქტით, ეს სახარბიელო არ არის ჩვენს შორის ურთიერთობის საკითხში.

— გარკვეულწილად, ინფორმირებული ვარ ამ კუთხით, ჩვენს მეგობრობაზე ამან უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ისრაელი არის საომარ მდგომარეობაში, მტრების გარემოცვაში და ის იცავს თავს. ფრთხლობენ, არ გადავიდნენ საზღვარზე არალეგალები, რომელთა აღრიცხვა ისრაელში უკვე ძალიან გაჭირდება. ამიტომ იყენებენ ყველა ღონეს, რომ არალეგალები არ მოხვდნენ ქვეყანაში. საზღვარზე აქვთ, ალბათ, სპეციალური ტაქტიკა, რომლის მიხედვითაც ხვდებიან, რომ ვიზიტორი არ არის ის ადამიანი, ვინც უახლოეს ხანებში უკან დაბრუნებას აპირებს და შესაბამისად მოქმედებენ.

— ძირითადად, ქართველებს აბრუნებენ უკანო.

— ამას ჩვენ ვიგებთ, თორემ საზღვრის გადაკვეთაზე სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც თუ ეუბნებიან უარს, თუმცა ამის შესახებ ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს.

მხოლოდ ისრაელის მხრიდან კი არა, გერმანიიდან, იტალიიდანაც და სხვა ქვეყნებიდანაც დააბრუნეს ხალხი. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

არ არის სასიხარულო, როცა საქართველოდან წასულ ქართველს უკან აბრუნებენ და მერე ეს ადამიანი სოციალური ქსელით, ან სხვა საშუალებით ატყობინებს ყველას, რომ ასე მოხდა. ეს ძალიან მძიმე მოსასმენია ჩემთვის, მაგრამ, ვიცი, როცა მივლინებით, ტურისტული მიზნით, ან სამკურნალოდ მიდიან, მათ არავინ აფერხებთ, ჩვეულებრივად გადადიან საზღვარს. მთავარია, საბუთები ჰქონდეთ წესრიგში და არსებობდეს მასპინძელი, რომელიც დახვედრას შეძლებს.

სულ ესაა, რისი თქმაც ამ საკითხთან დაკავშირებით შემიძლია.

ქართველი ებრაელები საზღვარზე არ მუშაობენ, მაგრამ რომც მუშაობდნენ, ისინიც დაიცავენ კანონს. მეგობრობისა და ნაცნობობის გამო კანონს ისრაელში არავინ დაარღვევს.

როგორც გითხარით, ძალიან მწყინს, ასეთი რამეები რომ ხდება და არ მინდა, მსგავსი პატარ-პატარა ინციდენტები ჩვენს ორ ერს შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზეზი გახდეს.

ჩვენ ისეთი ჯაჭვი გვაკავშირებს, რომ არ მგონია, ამან შეარყიოს ეს მართლაც უპრეცედენტო მეგობრობა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რა ელით მეცამეტე ლეგიონის „მხედრებს“?

დღევანდელობა ქვეყნის აღსასრულის მრავალ ნიშანს ავლენს და ამჟამად, როგორც არასდროს, ახლოსაა მოციქულის გაფრთხილება: „ყრმანო უკანასკნელი ჟამი არს… და ანტიქრისტე მოვალს“ ჟამი ესე განისაზღვრება ადამიანთა ღვთისადმი ლტოლვის შენელებითა და საზოგადოებაში ბოროტის ძალთა გაძლიერებით. მსოფლიოს ისტორია დასასრულს უახლოვდება. დრო ჩვენს თანამედროვეებს სინანულისთვის აქვთ მიცემული, როგორც ღირსი მამები გვაფრთხილებენ, რათა მომავალ ცთუნებებს გაუძლონ და ანტიქრისტეს საშინელი დღეების შემდეგ ღირსეულად შეხვდნენ უფლის დიდებით დაბრუნებას.“

უბედურებაა როცა ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანები ნაგავში ეძებენ საკვებს და ბავშვები შიმშილით იხოცებიან… წლების წინ, კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე ქადაგებდა – „ვიცით კი ჩვენი არსებობის მიზანი, ვიცით, ვინ ვართ, საითკენ მივდივართ, რა მოგველის? ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ: ვჭამ იმისთვის, რომ ვიარსებო და არ ვარსებობ იმისთვის, რომ ვჭამო. მართლაც რისთვის ვარსებობთ: კაცი სმა-ჭამისთვის, ჩაცმა-დასვენებისთვის, თუ ჭამა-სმა და დასვენება რაღაც სხვა, უფრო დიდი მიზნისთვის გვჭირდება? ეკლესია და რწმენა, როგორც ამას ზოგჯერ წერენ და ხმამაღლაც აცხადებენ, სრულიად არ კრძალავს ზრუნვას ეკონომიკურსა და მატერიალურზე, მაგრამ იგი გვასწავლის, რომ მთავარი სულია, რომელსაც სხეულისგან განსხვავებით მარადიული არსებობა აქვს და უკვდავია, ამიტომაც, პირველ რიგში, მასზე ფიქრი და ზრუნვა გვმართებს.

...ღმერთმა მოგცეთ ძალა ამ გამოცდის ღირსეულად ატანისა და ჩვენი არსებობის უპირველესი მიზნის სამსახურისა. როდესაც განცხრომით ცხოვრობ, გავიწყდება ყველაფერი: ღმერთიც, შენი უკვდავი სულიც, გავიწყდება, რომ მდგმური ხარ წუთისოფლისა და ზესთასოფელს დაემკვიდრები. როდესაც არ იცი, რა არის გაჭირვება, ფიქრობ, რომ ბედნიერი ცხოვრება შენით მოიპოვე და ეს მუდამ ასე იქნება“.

სამწუხაროდ დღეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ისეთ ჩიხში შევიდა, რომ ილია მეორემაც დაკარგა იმედი, რომ გვეშველება – „მე ხანდახან ისეთი აზრიც კი მებადება, რომ აღარ ეშველება ქვეყანას. ეს ჰგავს დაგორებულ ლოდს, ქვას, აი, მთიდან რომ დაგორდება და ვეღარ გააჩერებ, აი, ამას ჰგავს დღევანდელი მდგომარეობა თქვენ მოგეხსენებათ, რომ უარყოფითი ამბები მოდის, ხდება ნეგატიური მოვლენები. ახალგაზრდობა არის ჩაბმული ამაში. სიძულვილი რით აიხსნება? – ზოგიერთი ფიქრობს, რომ სოციალური მდგომარეობაა მძიმე, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ რაღაც უფრო მეტია, უფრო ძლიერი. ბიბლიაში წერია, რომ ბოლო დროს, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, ბოროტი სული, ეშმაკი გააძლიერებს თავის ზეგავლენას. რა თქმა უნდა, თვითონ ადამიანის მონაწილეობით. თუ ადამიანს არ უნდა და სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, ეშმაკი ვერაფერს დააკლებს და მე მინდა, რომ რამდენიმე შეხვედრა მოვაწყოთ და ვიმსჯელოთ, როგორ ვუშველოთ ხალხს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაძლიერდეს ჩვენი ლოცვა, ჩვენ სამშობლოს შველა სჭირდება და ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვუშველოთ მას. ღმერთმა ინებოს, რომ გამოვსწორდეთ“.

ჩვენი ბრძენი პატრიარქის აღნიშნული ქადაგება დამაფიქრებელია. ჰაერში მართლაც დენთის სუნი ტრიალებს და დემონებიც დიდი ხანია მიწაზე დანავარდობენ, სოროსის ლეკვები გაშმაგებული იბრძვიან მართლმადიდებლობის და ტრადიციების წინააღმდეგ. მიტროპოლიტმა შიო მუჯირმა რამოდენიმე დღის წინ ბრძანა- „ჩვენ ხშირად გვესმის საუბარი აგრესიაზე, ძალადობაზე, ამას ვებრძვით, მაგრამ არც ერთი ე.წ. მებრძოლი ამის წინააღმდეგ არ ამბობს, რომ აბორტი ცუდია. აბორტი არის ნატურალური ფაშიზმი. რომელ ჩხუბზე და დაჭრაზე საუბრობთ, როცა წელიწადში 40 ათასი აბორტი კეთდება და ეს არაოფიციალურად? თუ მივამატებთ ამას ქიმიურ აბორტებს, ეს ადის ასობით ათასზე. სულიერად რომ შევხედოთ, ღმერთი არასდროს მისცემს იმ ერს ბედნიერებას და გამარჯვებას, რომელიც არის საკუთარი შვილების მკვლელი. სანამ ეს არ გამოსწორდება, ჩემი აზრით, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, არაფერი გამოსწორდება იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენს ბავშვებს ვკლავთ ათობით და ასობით ათასს და ამას არ ვუწოდებთ აგრესიას, ვიცავთ ქალის უფლებას, ბავშვის უფლებას, მაგრამ არ ვიცავთ ბავშვის უფლებას რომ დაიბადოს, ამაზე ხმას არავინ იღებს. რა არის ეს, თუ არა ორმაგი სტანდარტი? კითხვა იბადება – ვის აწყობს ეს? იქ, როგორც ჩანს, ფული კეთდება და დიდი პარადიგმაა, მსოფლიო მიმართულებაა, რომ ამაზე არ იფიქრო, გვეუბნებიან, რომ ეს არ არის აგრესია, ამაზე არ გაბედო თქმა იმიტომ, რომ ქალის უფლებაა, დაკუწოს საკუთარი შვილი დანით. აქ კიდევ თუ შეეხო ქმარი ცოლს, რა თქმა უნდა, ესეც ამაზრზენია, ნებისმიერი ქმარი ცოლს თუ სცემს, ის არაკაცია, დასასჯელია, ამაზე ორი აზრი არ არის, მაგრამ იქვე რატომ არ ამბობთ, რომ ეს ვინც გააკეთა ის ნატურალური ფაშისტია? ნიუნბერგის პროცესზე ამის გამო ხოცავდნენ და ახრჩობდნენ ადამიანებს. ჩვენ ამას ვაკეთებთ და მერე გვინდა, რომ რაღაც გამოსწორდეს, აგრესია დაიძლიოს”სოციალური ქსელის მომხმარებელი მეუფე შიოს ქადაგებას ასე გამოეხმაურა-საკუთარ ახალშობილ შვილს რომ ყელზე ძაფს მოუჭერ და ზღვაში გადააგდებ! მართალია მეუფე შიო!ამ ქვეყანას უფალი არ გაახარებს სანამ ასეთი ამაზრზენი ფაქტები მოხდება! გამოვა მერე ეს სოროსის დაფინანსებული ქალის მაგვარი სულით და ხორცით მახინჯები და დაიწყებენ ჩემი სხეული ჩემი საქმეა! აბორტი ყველა ქალის უფლებააა!ხელები შორს ჩემი სხეულისგან! და ისინი ვისაც შვილები არ ყოლია და არ ეყოლება კიდევ იმიტომ ნორმალური კაცი მათ არასდროს შეხედავს!“

“რკინას ცეცხლი აფოლადებს, ადამიანს-განსაცდელი!”-ო ამბობდა ეფრემ მეორე, მაგრამ დღეს, როცა სამყარო უმართავი გახდა და პესიმიზმში ჩაიძირა, როცა ჩვენი თანამემამულეების დიდ უმრავლესობას სიკვდილზე მეტად სიცოცხლის ეშინიათ და სწორედ, ეს უბიძგებს მათ ძალადობისკენ ან საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული მოქმედებისკენ. პრობლემების დასტა განსაცდელზე მეტია და სამწუხაროდ არცთუ უცხო ჩვენი ქვეყნის სინამდვილისთვის. მომავალს შიშით უყურებს დიდი თუ პატარა და ნათელიც არ ჩანს. დღეს მატარებელში, თვითმფრინავში აღარავინ ელაპარაკება ერთმანეთს. გვერდით მჯდომთან დალაპარაკებამ შეიძლება პოტენციურ აგრესორად გაქციოთ. ახალმა ტექნოლოგიებმა გარკვეული სიკეთეც მოგვიტანა, მაგრამ სანაცვლოდ, მყარ იზოლაციაშიც მოგვაქცია. ბოლო ხანებში გახშირებულმა სოციალურ ქსელებთან დაკავშირებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა დაგვანახა, თუ რა სავალალო შედეგებით შეიძლება დასრულდეს ინტერნეტთან ბავშვის უყურადღებოდ დატოვება. ხშირად, ინტერნეტის საშუალებით ვრცელდება მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია! რელიგიასთან და კონკრეტულად კი მართლმადიდებლობასთან ბრძოლა ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან დაიწყეს. (სხვათაშორის ნაცებმაც)

დაპირისპირება არამარტო იდეოლოგიურ, არამედ აშკარა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. მათი მთავარი მიზანი, საზოგადოებაში ეკლესიის ავტორიტეტის მოსპობა და მის ნაცვლად ათეისტური იდეოლოგიის დამკვიდრება გახლდათ. თუმცა თვით ბოლშევიკებმაც რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხი განიცადეს. სახელმწიფოს უდიდესი მხარდაჭერით შეიქმნა „უღმერთოთა კავშირი“-ც, რომლის თავმჯდომარეც საქართველოში საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბაბუა – მიხეილ სააკაშვილი იყო. უღმერთოთა საქმიანობას საბოლოო წერტილი მეორე მსოფლიო ომმა დაუსვა. როდესაც საბჭოთა კავშირი ომში ჩაერთო ანტირელიგიური კამპანია შეჩერდა. ომის დროს, ბოლშევიკებს ღმერთი დასჭირდათ. ისინი მიხვდნენ, რომ მოსახლეობის დასარაზმად რელიგია ყველა კომუნისტურ ლოზუნგებზე ქმედითი იქნებოდა. სტალინის ბრძანებით, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა საერთოდ შეწყდა.

დაბოლოს, მძიმე ბრძოლების მიუხედავად, ვერავინ ვერასდროს შეძლო ქართველი ერის ცნობიერებიდან მართლმადიდებლობის წაშლა, ღმერთის სიყვარულის განელებას და მივიწყებას, მძიმე განსაცდელი მოსდევს. უცნობია როდის დასჭირდება ჩვენს ხელისუფალთ და მათ დასავლელ მამებს ღმერთი? ჩვენი პატრიარქის ბოლო ქადაგებიდან ჩანს, რომ მალე. თუმცა ერთადერთი ავტორიტეტი დღეს მიუხედავად მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გააფრთებული ბრძოლისა მაინც ჩვენი პატრიარქი და ეკლესიაა. ხალხი მათ გაყვება. რა ელით მეცამეტე ლეგიონის „მხედრებს“ ძნელი მისახვედრი არ არის!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ყველაზე პოლიტიზებული ოლიმპიური თამაშები

ყველაზე პოლიტიზირებული ოლიმპიური თამაშები — ასეთი შეფასება მისცეს წლევანდელ, უკვე განვლილ მთავარ სპორტულ ღონისძიებას სპორტულმა ჟურნალისტებმა თამაშების დაწყებისთანავე. მოგვიანებით ჩვენს კოლეგებს პოლიტოლოგებიც დაეთანხმნენ. მსგავსი შეფასება 1980 და 1984 წლების ოლიმპიადების ბოიკოტირებისასაც (იმ დროს ჯერ კაპიტალისტურმა ბანაკმა განაცხადა უარი მოსკოვის თამაშებში მონაწილეობაზე საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრის მიზეზით, ხოლო ლოს-ანჯელესის ოლიმპიადას სოციალისტურმა სამყარომ ბოიკოტითვე უპასუხა) არ გაუკეთებიათ. წლეულს დოპინგის სკანდალის გამო რუსეთს მხოლოდ ნეიტრალური, ოლიმპიური დროშით გამოსვლის უფლება მისცეს.

სპორტული ღონისძიებები სამხრეთ კორეაში პოლიტიკურმა მოვლენებმა გადაფარა. გვახსოვს, ოლიმპიადაზე ფხენჩხანში ჩრდილო კორეელები ეწვივნენ. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოელთა დელეგაციაში თავიანთი ქვეყნის მთავრობის მაღალჩინოსნები იმყოფებოდნენ, რომლებიც სამხრეთელმა მოძმეებმა თბილად

მიიღეს. ფხენჩხანში გადაწყდა, რომ სამხრეთელებსა და ჩრდილოელებს შორის პოლიტიკური დიალოგი მომავალშიც გაგრძელდებოდა. კიმ ჩენ ინის დამ სამხრეთელთა პრეზიდენტს მუნ ჯინ ირს თავისი ძმის წერილი-მიწვევა პირადად გადასცა.

ჩრდილო და სამხრეთ კორეელთა თბილი შეხვედრა, თავისთავად, ბევრს არ ესიამოვნა. იმასაც ამბობდნენ, რომ დიალოგი დროებითი მოვლენა იყო, რათა ოლიმპიადის დღეებში შეერბილებინათ დაძაბული ვითარება, თავიდან აეცილებინათ ნებისმიერი მოსალოდნელი ექსცესები. ჩრდილოელთა ვიზიტით უკმაყოფილება ვერ დაფარა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა და პოლიტოლოგების შეფასებით, პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც ჩრდილოელებს ხელი არ ჩამოართვა და დემონსტრატიულად დატოვა დარბაზი, სადაც სხვებთან ერთად ჩრდილოელთა დელეგაციის წევრებიც იმყოფებოდნენ.

დიალოგი სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის გასულ კვირას გაგრძელდა, ამჯერად ჩრდილოეთში. სამხრეთელთა სამთავრობო დელეგაციას პირადად კიმ ჩინ ინმა უმასპინძლა. შორიდანაც კარგად ჩანდა, რომ სტუმარ-მასპინძელს შორის საკმაოდ თბილი ურთიერთობა სუფევდა. მასპინთელთა ლიდერთან საუბარი 4 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. დამშვიდობებისას საკმაოდ დიდხანს ართმევდა ხელს კიმ ჩენ ინი სტუმარს, ხოლო უკვე მიმავალ ლიმუზინს 5 წუთი უქნევდა ხელს. ექსპერტებმა გულთბილ შეხვედრას და, სავარაუდოდ, წარმატებულ მოლაპარაკებას დიდი შეფასება მისცეს. საინტერესოა აღმოსავლეთ აზიის სპეციალისტების მოსაზრება. მათი ვარაუდით, გამორიცხული არ არის, დღის წესრიგში დადგეს სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის გაერთიანების საკითხი. ექსპერტების აზრით, გაერთიანებაზე საუბარი დღეს-ხვალ არ დაიწყება, საამისოდ ნიადაგის მომზადებაა საჭირო. ექსპერტების ვარაუდით, თუ მოხდება ჩრდილო-სამხრეთ კორეის გაერთიანება, მათი შრომისმოყვარეობისა და მენტალიტეტის გათვალისწინებით, რამდენიმე წელში მსოფლიო ახალ ძლიერ ქვეყანას მიიღებს.

ჩრდილოეთ კორეის შემდეგ სამხრეთელები ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდნენ და პრეზიდენტ დონალდ ტრამპს გადასცეს კიმ ჩენ ინის სიტყვიერი თანხმობა შეხვედრაზე. როგორც ამერიკელი მიმომხილველები იუწყებიან, ამან თავდაპირველად დააბნია თეთრი სახლის ადმინისტრაცია. თუმცა, შეთავაზება შემდეგ ტრამპმა თავის გამარჯვებად მიიწერა. დაწესებული სანქციები ჯერ კიდევ ძალაში რჩება. ორმხრივი შეხვედრა მაისის ბოლომდე უნდა შედგეს, მაგრამ ზუსტი დრო და ადგილი უცნობია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანტონიო გუტერაში მიესალმება აშშ-ჩრდილოეთ კორეის ლიდერების შეხვედრას და მშვიდობიან დიალოგს. დასავლელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ წელიწადზე მეტია, მსოფლიოს ნერვები დააწყვიტეს, ერთმანეთს შეურაცხყოფაც არაერთხელ მიაყენეს, მაგრამ, როგორც იქნა, საღ აზრამდე მივიდნენო. თავად დონალდ ტრამპი ამერიკელებს დიდებულ გარიგებას ჰპირდება. ვნახოთ...

ამასობაში გასულ კვირას დაწყებული „სავაჭრო ომი“ გრძელდება. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ომი ჯერ არ დაწყებულა, ვითარება „სავაჭრო ომის“ ზღვარზეაო. ალუმინისა და ფოლადის გადასახადის გაზრდის გარდა, გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ში ევროპიდან შეტანილ ავტომობილებზეც აპირებენ მოსაკრებელის გაზრდას. თავისთავად, გავრცელებულმა ცნობამ შეაშფოთა ავტომწარმოებლები. თუმცა ჟენევაში მიმდინარე ტრადიციულ ავტოგამოფენაზე სიახლეს უარყოფითად არ უმოქმედია. ევროპის ქვეყნები უკვე გაღიზიანებით აცხადებენ, რომ ასეთ მოპყრობას არ შევეგუებითო. როგორც მიმომხილველები აცხადებენ, ევროპელებმა შეიძლება უარი თქვან ამერიკული გაზის შეძენაზე. საკითხი ქვეყნებში აქტიურად განიხილება და გადაწყვეტილებასაც, სავარაუდოდ, მალე მიიღებენ.

საბაჟო ტარიფების გაზრდის მიზანშეუწონილობაზე ტრამპი კონგრესმაც გააფრთხილა, რომლებიც გადაწყვეტილებებით შეშფოთებულები არიან. მათი განცხადებით, ტარიფების გაზრდა აშშ-ის უშუალო მოკავშირეებს — გერმანიას, დიდ ბრიტანეთს, იაპონიას, სამხრეთ კორეას დააზარალებს. ტრამპი იძულებული გახდა, კანადას, მექსიკასა და ავსტრალიას არ გაუზარდოს გადასახადი. ექსპერტების განმარტებით, ფოლადის იმპორტის წილი ჩინეთიდან მხოლოდ სამი პროცენტი ყოფილა, რაც ჩინურ ეკონომიკაზე და მრეწველობაზე მნიშვნელოვან ცვლილებას ვერ მოახდენს. წინააღმდეგობების მიუხედავად, დონალდ ტრამპი თავის პოზიციას მტკიცედ იცავს: „...თუ არ გინდათ გაზრდილი ტარიფის გადახდა, გადმოიტანეთ თქვენი ქარხნები ამერიკაში და აქ აწარმოეთ პროდუქცია“, — ასე უპასუხა მან უკმაყოფილო მეწარმეებს.

როგორც ამერიკელი პოლიტოლოგები აცხადებენ, ტრამპი ასრულებს წინასაარჩევნო დაპირებას — ამერიკა კვლავ აქციოს ზესახელმწიფოდ. თუმცა მის გუნდში განხეთქილებაა. საბაჟო ტარიფების გაზრდას არ დაეთანხმა ტრამპის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ჯერი კონი და თანამდებობიდან გადადგა.

რუსეთის, კერძოდ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მიერ ახალი შეიარაღების დემონსტრირებიდან ორი კვირა გავიდა, მაგრამ დღემდე განსჯის საგნად რჩება. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ შეიარაღების დემონსტრირებას უპასუხისმგებლო ნაბიჯი უწოდა.

თუმცა რას გულისხმობდა, არ დაუკონკრეტებია. მიუხედავად მკვეთრი განცხადებისა, როგორც დასავლეთის პრესა იუწყება, გაოცებულები არიან, რადგან არ მოელოდნენ ასეთი შეიარაღების ხილვას. ამერიკული პრესა შეცდომად მიიჩნევს საკუთარი ხელისუფლების პოზიციას, რომელიც რუსეთთან დიალოგს არ აწარმოებს. ოთხმა სენატორმა (მათ შორის სამი დემოკრატია და ერთი დამოუკიდებელი) წერილი გაუგზავნა სახელმწიფო მდივანს რექს ტილერსონს, სასწრაფოდ დაიწყოს რუსეთთან მოლაპარაკება მსოფლიოში სტრატეგიულ სტაბილურობაზე. ტილერსონის მოადგილემ ტომ შენონმა მათ უპასუხა, რომ მზად არიან, ნებისმიერ დროს აწარმოონ მოლაპარაკება რუსეთთან.

სენატორების აზრს იზიარებს მსოფლიოს კორიფე პოლიტიკოსი ჰენრი კისინჯერი. მისი განცხადებით, რუსეთთან მოლაპარაკების დაწყება არათუ დროული, დაგვიანებულიც არის. აუცილებელია, სასწრაფოდ დაიწყოს ტრამპის ადმინისტრაციამ რუსეთთან მოლაპარაკება. „...ამ საკითხის გადადება დაუშვებელია“, — განაცხადა ჰენრი კისინჯერმა.

რუსეთის პრეზიდენტის ფედერალურ კრებაზე მოხსენების შემდეგ ვლადიმირ პუტინთან ინტერვიუ ჩაწერა NBჩ-ის ჟურნალისტმა მეგან კელიმ. აღსანიშნავია, რომ ამ ჟურნალისტმა შარშანაც ისაუბრა პუტინთან. ამის გარდა, კელის საკმაოდ ცუდი ურთიერთობა აქვს დონალდ ტრამპთან. შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს გაცილებით მწვავე საუბარი ჰქონდა პუტინთან. ინტერვიუს სრული ვერსია, პარასკევს, როგორც ამბობენ, ყველაზე ყურებად დროს უჩვენეს ამერიკაში. ინტერვიუს ბოლოს თავის კომენტარში მეგან კელიმ განაცხადა: „...ნურავინ ეცდებით პუტინის ჭკუაში მოტყუებას“. ვერაფერს იტყვის ადამიანი, უცნაური შეფასებაა ამერიკელი ჟურნალისტის მიერ.

„ბებერი ქალბატონის“, ევროპის კონტინენტზე, როგორც ირკვევა, ყველაფერი როდი ყოფილა რიგზე. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ევროკავშირის რიგი ქვეყნების პოლიტიკოსები ორგანიზაციას სსრკ-ს ამსგავსებენ. მათ უკმაყოფილებას განსაკუთრებით ბრიუსელის დიქტატი (როგორც მიაჩნიათ) იწვევს. ევროპელების განცხადებით, იძულებით ახვევენ თავს მათთვის მიუღებელს. ამასთან, ჩივიან, სუვერენიტეტი დავკარგეთო. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ არ შეიცვლება ევროკავშირის პოლიტიკა, შესაძლოა, ორგანიზაცია დაიშალოს კიდეც. მით უფრო, როდესაც ორგანიზაცია უკვე დატოვა დიდმა ბრიტანეთმა, ხოლო ავსტრია, უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას. ჩვენ კი მივილტვით ევროკავშირისკენ, მაგრამ იქ რა დაგვხვდება, ძნელი სათქმელია.

გია ბურდული
571 71 27 07

გამომიგზავნე ევროპავ და ამერიკავ, ჩემი ქართველები უკან – ჩემი სირცხვილი და ტკივილი სანახაობა არ არის, რომ სხვებმა უყურონ

ეკა ბეგიერ

ვერ იქნება ჩემს დღევანდელ წერილში იუმორი – იმედი არ გქონდეთ.

რა გამაცინებს, დანა რომ დამარტყათ, სისხლი არ წამომივა – გამეყინა დღეს ბოლო წვეთამდე. ვკითხულობ დღეს ამერიკაში მცხოვრები ერთი ქართველის პოსტს: როგორ ნახა ამერიკაში ჩასული გაჭირვებული ქართველი, ჩემი საწყალი ქართველი, ვალებს გაქცეული ჩემი ქართველი, სიდუხჭირეს გაქცეული ჩემი ქართველი და როგორ შეეძლო დახმარება და არ დაეხმარა ეს ვაი ქართველი და მისი მეგობარი უი უკრაინელი, რადგან – ქოცი იყო ეს ჩემი გაჭირვებული ქართველი, ნაცი არ იყო.

კომენტარებს გადავხედე და უმეტესობა უწონებდა საქციელს.

ღორი ჭამს თავის ნაშიერს. ნეხვსაც ჭამს ღორი.

გამოყარე გერმანიავ, ამერიკავ უკან გამომიგზავნე, საფრანგეთო დაადეპორტე – რაღა მანდ, რაღა უცხო ქვეყანაში დავჭამოთ ერთმანეთი, ჩვენს მიწაზე, მღვდელი თევდორეს სისხლით მორწყულ მიწაზე დავჭამოთ ჩვენი ნაშიერები, ჩვენი ერის ნაშიერები, ჩვენს ქვეყანაში – ჩვენს გაჭირვებულ, დაგლახებულ, წაქცეულ ქვეყანაში ვჭამოთ ნეხვი – რაღა მანდ, რაღა უცხო მიწაზე. ჩვენი ტკივილი და სირცხვილი აქ მინდა, ჩემს მიწაზე მინდა დარჩეს.

გამომიხტებიან არასამთავრობები, ძალად „პრადვინუწები“ – ლესბოსელები და გეები იდევნებიან სექსუალი ნიშნით საქართველოშიო.

არადა, ყველაზე მეტად საქართველოში პოლიტიკური ნიშნით ვდევნით ადამიანები ერთმანეთს.

ნეტავი, პოლიტიკა მაინც გვქონდეს, რამე მაინც გვქონდეს პოლიტიკის მსგავსი – პოლიტიკურმა კოჰაბიტირებულმა სექსმა შობა კოჰაბიტირებული პოლიტიკური ჰობიტი.

ამათ გამო გვძულს ერთმანეთი? ამათ გამო ვიბოღმებით?

ბავშვები იხოცებიან საქართველოში მშივრები და ჩვენ ვიღაცეების დაკარგული ან მოპოვებული სკამების გამო სიძულვილისა და ბოღმისთვის გვცხელა?

ამათ გამო ვიმეტებთ გაჭირვებულ ქართველს უცხო მიწაზე, უცხო ტომის საჯიჯგნად?

რუსი ტურისტი ქალი ჩამოვიდა ერთი კვირის წინ თბილისში, ერთი კვირა უნდა დარჩენილიყო, მეორე დღესვე აალაგა ბარგი და სვანეთში წავიდა, მერე ხევსურეთს მოვინახულებო. თბილისში არაბის, ირანელის, თურქის მეტი ვერავინ და ვერაფერი ვნახეო. არც

იმ ქალს მოწონდა პუწინი, არც იმ ქალს მოწონდა რუსული პოლიტიკა. გეტყვით რა მოწონდა და რისი ნახვა უნდოდა: ქართული სტუმართმოყვარეობის, ქართული კავკასიური ხასიათის, ქართული სახეების ნახვა უნდოდა, მართლმადიდებლები უყვარდა კიდევ – ისიც მართლმადიდებელი იყო და იმიტომ.

იმედი მაქვს – სვანეთსა და ხევსურეთში მაინც ნახავდა რამე ქართულს.

ქუჩაში ბანკომანტთან ვიდექი გუშინ, ორი ბიჭი დგას შორიახლო, ეწევიან, იფურთხებიან. ჩაგვიარეს ხელგადახვეულმა გოგობიჭმა. გოგოს მოკრძალებულად ეცვა, მაგრამ ძალიან ლამაზი ტანი რომ ჰქონდა, იმ დიდი დუტის ქურთუკშიც ეტყობოდა. ხოდა, ჯეელებმა ჯერ გახედეს, მერე ხმაც მიაყოლეს: აუ, რა მაგარი გასა.. მი ქალიაო...

რომ გაეგონა გოგოს თანმხლებ ბიჭს, უნდა მობრუნებულიყო და მოეკლა რომელიმე.

მითხარით ახლა, ვინ გვასწავლა ასე მოქცევა? ასე საუბარი ვინ გვასწავლა ჩვენს ქალაქში? ოკუპანტმა? თურქმა? არაბმა? ირანელმა?

არც დაყოფა უსწავლებია ჩვენთვის უცხოს, თავად დავყავით ერთმანეთი ბანაკებად.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ქობულეთში ვიყავი. გაითიშა ელექტროენერგია, გაითიშა კომუნიკაცია. სანთლის საყიდლად წავედით – რიგი დაგვხდა. ლარი ღირდა ერთი სანთელი, ერთი 20 თეთრიანი სანთელი ღირდა 1 ლარი.

ომი დაინახე, გაჭირვება დამინახე და სანთელი ლარამდე გამიძვირე, ქართველო? და ვისია ეს გაჭირვება და ომი? მარტო ჩემია? მარტო ჩემი შვილისაა?

ვენაცვალე ილიკოს და ილარიონს, ბოლო ჩექმა და ნაბადი გააგზავნეს ომის დროს წინა ხაზზე.

არ ვიყიდეთ სანთელი დემონსტრაციულად, ქუჩაში, სიბნელეში გავათენეთ, მაგრამ ერთად...

ჩვენ რომ ერთად დგომა შეგვეძლოს – ვინ მოგვერეოდა, ჩვენ რომ ერთად დგომა შეგვძლებოდა – ჭავჭავაძეს არ მოგვიკლავდნენ...

აფხაზეთის ომიდან სახლში დაბრუნდა ჩემი მეზობელი მთელი და ჯანმრთელი – წაიყვანა ქართულმა პოლიციამ და გაქრა. რამდენიმე წლის შემდეგ ძვლები მოგვიყარეს სოფელს – აქაოდა ტყეში თავი ჩამოიხრჩოო – ძვლების ექსპერტიზა გააკეთა ოჯახმა: რამდენიმე ადამიანის ძვალი იყო დაყრილი.

ჩემი ქართველი ომიდან დაბრუნებულ ქართველებს ხოცავდა ცემით და ძვლებს აგროვებდა – რა პასუხი მოვთხოვო მე რუსეთს?

ჭრელო პეპელა – ჩვენზე, ამ საუკუნის შვილებზე დაუწერიათ, თავის დროზე...

რა მოვთხოვო, რა პასუხი მოვთხოვო მე რუსეთს, როცა ჩემი ქართველი უცხო ტომში მარტოს მტოვებს საჯიჯგნად, რადგან ჩემი პოლიტიკური კურსი არ მოწონს.

რა პასუხი მოვთხოვო მე რუსეთს, როცა ჩემი ქართველი მძარცვავს ომის დროს, მძარცვავს და ფულს ითვლის, მძარცვავს და უხარია.

90-იან წლებში ჩვენს სოფელში ორი ასაკოვანი და ცხოვრობდა. ძალიან უჭირდათ, რადგან მთელ პენსიას შვილს უგზავნიდნენ. ერთ შვილი გაზარდა ორივემ ერთად. ხოდა, ნახევრად მშივრები იყვნენ, თურმე.

გვესტუმრა ერთხელ ერთი და. ბებო გასული იყო. ვიცოდი, ბებო მოვიდა და დაეხმარებოდა, ეხმარებოდა ხოლმე. ვიცოდი, რომ შეიძლებოდა მშიერი ყოფილიყო, მაგრამ, არ მინდოდა სცოდნოდა, რომ ვიცი, შიმშილობს. მინდოდა, უბრალოდ სადილზე დაგვეპატიჟა, როგორც ვაკეთებდით ხოლმე, მაგიდაზე ახალგამომცხვარი პური და ახალმოხარშული ღორის ხორცი იდო. ოთახში პურის და ხორცის სუნი ტრიალებდა. იჯდა მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ სასწაულად ლამაზი მოყვანილობის პირისახის ქალი კუთხეში, უყურებდა პურს და ტიროდა, სახის არც ერთი ნაკვთი არ ეცვლებოდა, უბრალოდ ცრემლები ჩამოსდიოდა გაუჩერებლად. პატარა ვიყავი, მაგრამ ზუსტად მივხვდი, შიმშილს არ ტიროდა – იმას ტიროდა, რომ სახლში მშიერი და ელოდებოდა, იმას ტიროდა, რომ შიმშილობა უწევდა, იმას ტიროდა, რომ შიმშილმა ჩვენამდე მოსვლა აიძულა.

ისე მოკრძალებულად მიირთვა, თითქოს ეს-ესაა ისაუზმა. წასვლის წინ, ერთი პური და ხორცი გავატანეთ. მან კი ჯიბიდან ფერადი ძაფები ამოიღო – ეს მოგიტანე, ამიტომ მოვედიო, – უთხრა ბებოს.

ის ძაფები გამოუყენებლად ედო ბებოს საკერავ მანქანაში – შეიძლება, არ უნდოდა დავიწყნოდა, რომ სადღაც ორი და შიმშილობს, შეიძლება, იმ ამაყი, მაგრამ მშიერი ქალის სახსოვრად იტოვებდა.

იმ დღეს პირველად გამეყინა სისხლი ძარღვებში.

ასე საშიმშილოდ, ასე ცრემლებისთვის გაიმეტა გამაძღარმა ქართველმა გაჭირვებული ქართველი ოკეანის გაღმა პოლიტიკური ნიშნის გამო და თავს იწონებს, მედიდურობს.

დამიბრუნე ამერიკავ, გამომიგზავნე ევროპავ, ჩემი ქართველები, სხვისი ქართველებიც, ზოგადად ყველა ქართველი – თუ ღორებივით უნდა დავჭამოთ ერის შვილებმა ერთმანეთი და მერე ნეხვში ვიგორაოთ, დაე, ქართულ მიწაზე. ჩემი ტკივილი ჩემმა მიწამ იცოდეს, ჩემი სირცხვილი და ტკივილი სანახაობა არ არის – რომ ევროპას და ამერიკას ვაყურებინო.

ოკუპანტი კი, რას დაგვიშავებდა, ჩვენ რომ არ მოგვენდომებინა, ჩვენ რომ არ გვევაჟკაცა – ქართველს ქართველის გარდა ვერავინ ამარცხებს. ასე იყო ყოველთვის და ასეა ახლაც...

555 46 08 04

თამარ ჩიბურდანიძე:

მართალია, გაეროს მომაკვდავ ერთა სიაში შეგვიყვანა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ არ გავქრებით და ქართველი ერი აუცილებლად გადარჩება!

ამ დღეებში დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარემ ტელეკომპანია „იბერიას“ ეთერში არანაკლებ შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა და ბრძანა, რომ საქართველო მომაკვდავი ერების ხუთეულშია. რა გახდა ზემოთ ხსენებული განცხადებების გაკეთების საფუძველი და ნამდვილად უიმედოა თუ არა მდგომარეობა, ამაზე სასაუბროდ, დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარეს თამარ ჩიბურდანიძეს ვესაუბრეთ:

– ამასწინათ პატრიარქის მოსაყდრემ, მეუფე შიომ საქართველოში და ზოგადად, თანამედროვე სამყაროში არსებული აბორტების პრობლემაზე ისაუბრა.

– მეუფე შიო, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, მკვეთრი განცხადებებით გამოირჩევა. ბოროტება, რომელზეც მეუფე შიომ ყურადღება გაამახვილა, აბორტებია. მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები მოსაზრებას, რომ აბორტი ქალის უფლება. ჩემი აზრით, აბორტი მკვლელობაა, რადგან ნებისმიერი არსება, რომელიც ჩაისახება, უფლისგან ნაჩუქარი სიცოცხლეა. 21-ე საუკუნეში მსოფლიოში არასასურველი ორსულობისგან დაცვის უამრავი საშუალება არსებობს, რომ ამ ნაყოფის მკვლელი არ გახდე. ათასობით ოფიციალური აბორტი ადასტურებს, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ დაბალი შეგნება და სამოქალაქო კულტურაა. როგორც ჩანს, მეუფე შიოს ძველი მონაცემები ახსოვდა. გასულ წელს 10 თუ 12 ათასით იკლო აბორტების რაოდენობამ და 40 ათასი აღარ არის, თუმცა წელიწადში 10 000-იც რომ იყოს, მაინც ძალიან ბევრია.

– თუმცა, აბორტების აკრძალვის მომხრე არ ხართ..

– რაც შეეხება აბორტების აკრძალვას, ამის მომხრე ვიყავი, მაგრამ სპეციალისტებთან საუბრისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ნახვის შემდეგ, დავრწმუნდი, რომ ეს უარეს შედეგებს გამოიწვევს, რადგან ვისაც აბორტის გაკეთება უნდა, მაინც გაიკეთებს. მაგალითად, ირლანდიიდან და კიდევ 3–4 ქვეყნიდან, სადაც აბორტი აკრძალულია, მსურველები პროცედურის ჩასატარებლად მეზობელ ქვეყნებში მიდიან, რაც კიდევ სხვა პრობლემებს იწვევს. საქართველოში ძალიან გავრცელებულია მედიკამენტური აბორტი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ქალის ორგანიზმზე. ვფიქრობ, რომ აბორტს აკრძალვით კი არა, მის წინააღმდეგ პროპაგანდით უნდა ვებრძოლოთ. როცა ამ მიმართულებით, ქვეყანაში სამოქალაქო კულტურისა და შეგნების ამაღლებას შევძლებთ, შემდეგ შეგვიძლია აკრძალვაზეც ვიფიქროთ.

– გაეროს ბავშვთა ფონდის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ყოველი 225 000 ანუ ყოველი მეოთხე ბავშვი სიღარიბეში ცხოვრობს. 9.4% ანუ 77 ათასი ბავშვს კი უკიდურეს სიღარიბეში უწევს ცხოვრება. იქნებ, გახშირებულიაბორტების მიზეზი სოციალურ ფონში უნდა ვეძიოთ?

– არა, ეს 2016-ის კი არა, 2008 წლის შედეგებია. ჩვენ ეს ინფორმაცია გაეროს ბავშვთა ფონდში გადავამოწმეთ და გვითხრეს, რომ ბოლო კვლევა 2008–2009 წელს ჩატარდა.

გეთანხმებით, რომ საქართველოში ოჯახების დიდ ნაწილს უჭირს შვილების გამოკვება და ქვეყანაში მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობაა, მაგრამ აბორტის მძიმე სოციალური მდგომარეობით გამართლება სრული სიცრუეა. 2014 წელს ჩვენმა ფონდმა ანონიმურობის დაცვით ჩაატარა კვლევა ქალბატონებში, რომლებიც აბორტის გაკეთებას აპირებდნენ. კვლევის თანახმად, გამოკითხული ქალბატონების 64%-მა განაცხადა, რომ უბრალოდ, მეტი შვილი არ უნდა. მეორე ადგილზე გავიდა სელექციური აბორტები და მესამე ადგილზე, დაახლოებით 20%-მდე იყო სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა.

– ალბათ, იმაში მაინც დამეთანხმებით, რომ მრავალშვილიანი ოჯახების დიდი ნაწილი უმძიმეს მდგომარეობაშია. თქვენი აზრით, 20 ლარიანი დახმარება, რომელსაც პარლამენტში შეტანილი კანონპროექტი ითვალისწინებს, საკმარისია?

– მე ამ კანონპროექტის თანაავტორი ვარ და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ მედიაში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა არავითარი 20 ლარიანი დახმარება, კანონპროექტის მიზანი უპირველეს ყოვლისა მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სტატუსის განსაზღვრა იყო, რომელიც საქართველოში 2006 წელს გაუქმდა. თუ 2006 წლამდე სტატუსი 7 და მეტ შვილიან ოჯახს ჰქონდა, ახლა 4 და მეტ შვილიან ოჯახებს ექნება. რაც შეეხება დახმარებებს, მრავალშვილიანთა სოციალური პაკეტი ძალიან დიდია და შედის კომუნალურ გადასახადებში შეღავათი, კულტურა, სპორტი, განათლება, აქტივობებში სახელმწიფო სუფსიდირება, საგადასახადო შეღავათები და ა.შ. და ეს ყველაფერი ეტაპობრივად განხორციელდება. რაც შეეხება ელექტროენერგიის სუფსიდირებას, ოთხშვილიანი ოჯახი წლიურად მიიღებს ელექტროენერგიაზე 240 ლარიან სუფსიდირებას. ხუთი და მეტ შვილიანი ოჯახს ყოველ ბავშვზე 120 ლარი დაემატება. კონკრეტული ინიციატივის მომხმარებელი სოციალურად

დაუცველების გარდა, 300 ათას სარეიტინგო ქულამდე მყოფი პირები, ანუ საშუალო ფენაც იქნება. მრავალშვილიანი ოჯახების ყველაზე დიდი პრობლემაა, რომ ბავშვებს სრულყოფილ განათლებას ვერ აძლევენ და სახელოვნებო თუ სპორტულ წრეებში ვერ დაჰყავთ. **მარიამ ჯაშისა** და **ზოთა ხაბარელის** ინიციატივით მოხდება წრეობრივი მუშაობის და სპორტული აქტივობების სუფსიდირება. ამის გარდა, შესაძლებელია მუნიციპალიტეტებმა ტრანსპორტით მგზავრობის სუფსიდირება განახორციელებს, სოფლის მეურნეობა თავისი მიმართულებით იმუშავებს და ა.შ. ასე, რომ ინფორმაცია, რომ მრავალშვილიან ოჯახები 20 ლარიან დახმარებას უნდა დასჯერდნენ, მიზანმიმართულად გავრცელებული აბსურდია, რომ მოხდეს მთელი პოზიტივის წაშლა. ეს არის **დიმიტრი ხუნდაძის** ძალიან კარგი ინიციატივა და ერთ-ერთი უმსხვილესი პროექტი, რაც საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის განხორციელებულა.

– როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, თუ ადამიანების დასაქმება არ მოხდა, მრავალშვილიანი ოჯახის კეთილდღეობისთვის მხოლოდ დახმარება საკმარისი არასოდეს იქნება. არადა, ბევრი სოციალურად დაუცველი ადამიანი სწორედ დახმარებების გამო, თავს არიდებს მუშაობას.

– გეთანხმებით, დახმარება არასოდეს იქნება საკმარისი თუ ადამიანმა არაფერი გააკეთა. მე ძალიან ბევრს დავდივარ საქართველოში და ძალიან ბევრ ადამიანს ვხვდები და ზოგჯერ ისეთი განცდა მაქვს, რომ ჩვენ 21-ე საუკუნისკენ კი არა, უკან მივდივართ და საკუთარი პასუხისმგებლობა გვავიწყდება. ქვეყანაში იმდენად დიდი დემოგრაფიული პრობლემაა, რომ სახელმწიფომ შეუძლებელი უნდა შეძლოს, რომ ამ ოჯახებს დაეხმაროს. რაც შეეხება სოციალური დახმარების მიღების გამო უმუშევრობას, 2013 წელს, როცა სოციალური დახმარებები გაორმაგდა და 2016 წელს, როცა ამ გაორმაგებულ დახმარებებს თითო ბავშვზე 10 ლარი დაემატა, სოციალურად დაუცველების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, მაგრამ ზოგიერთი ჯანმრთელი და შრომისუნარიანი ადამიანი დახმარების მოხსნის შიშით არ მუშაობს. ამიტომ მე ყოველთვის ვამბობ, სანამ ქვეყანაში სოციალურად დაუცველის სტატუსი ამ ფორმით არსებობს, ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება და საქართველოს ეკონომიკური წინსვლა გამორიცხულია. ზოგიერთი რომ არ შიოდეს, მაინც მშიას გაიძახის, რომ სტატუსი არ მოეხსნას.

– საუბრის ბოლოს თქვენი განცხადების შესახებაც გვითხარით, რომელიც „იმედის“ ეთერში გააკეთეთ.

– 2017 წელს მსოფლიომ საქართველო მომაკვდავი ერების სიაში შეიყვანა. ქვეყანაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა ერის დაბერების კუთხით, ანუ 2050 წლისთვის მოსახლეობის დაახლოებით 33% იქნება პენსიონერი, ანუ ბიუჯეტიდან თანხის მიმღები. ძალიან მაღალია მიგრაციის დონე და მწარმოებელი ფენა ყოველწლიურად იკლებს, რაც ყველა ქვეყანაში ვიზალიბერალიზაციის თანმდევი პროცესია. ქორწინებისა და ახალშობილთა რაოდენობა იკლებს, განქორწინებულთა რაოდენობა იმატებს და ამ ყველაფერს დემოგრაფიულ კრიზისამდე მივყავართ. ჩვენი მცდელობა და ის ხუთი წელი, რაც დემოგრაფიულ ინიციატივებზე ვმუშაობთ, უწმინდესის ინიციატივასთან ერთად, შობადობის გაზრდას ემსახურება. ჩვენ გავიარეთ 90-იანი წლების სიდუხჭირე, მიგრაცია, სიკვდილიანობა, აბორტების საგანგაშო რაოდენობა და შედეგად მივიღეთ ის, რაც გვაქვს, მაგრამ არ მინდა საუბარი პესიმისტურად დავამთავრო. მე-19 საუკუნის დასაწყისში შავი ჭირისა და გამუდმებული ომების წყალობით, დაახლოებით 400 000 ვიყავით. მოსახლეობა თითქმის განადგურდა, მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოს თითქმის მილიონ ნახევარი გავხდით და ფაქტობრივად, მკვდრეთით აღვდექით. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მომაკვდავი ერების სიაში შეგვიყვანეს, სერიოზული პრობლემები გვაქვს და უახლოესი 30 წელი დემოგრაფიული კრიზისის პერიოდში ცხოვრება მოგვიწევს, დარწმუნებული ვარ, რომ არ გავქრებით და ქართველი ერი აუცილებლად გადარჩება!

ნელი თორდია
571 35 36 88

ძლიერი რეგიონები – ძლიერი საქართველოსთვის

გურჯაანი

სოციალური პროექტი გურჯაანის მუნიციპალიტეტში

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციასა და წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ურთიერთთანამშრომლობა მრავალი წელია გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში უკვე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. არსებული თანამშრომლობის შედეგია მორიგი სოციალური პროექტი. კახეთში. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი შიოშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერთან, არჩილ ხანდამაშვილთან და წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად გურჯაანის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებსა და მარტოხელა დედებს ეწვია. მრავალშვილიან ოჯახებს წითელი ჯვრის საზოგადოების მხარდაჭერით საჩუქრად გადაეცათ მაღაზიათა ქსელ LC WAIKIKI-ის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარები, ხოლო მარტოხელა დედებმა, რომელთაც 15 წლამდე ასაკის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები ჰყავთ, მიიღეს საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საკვები და სამომხმარებლო პროდუქტები.

ეს სოციალური პროექტი უახლოეს მომავალში კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებშიც განხორციელდება.

ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო აკადემია ლაგოდეხში

ლაგოდეხში საქართველოს ფეხბურთის აკადემიის კახეთის რეგიონის ფილიალი გაიხსნა. აკადემიაში, რომელსაც ნოდარ ახალკაცის სახელი მიენიჭა, 2003–2004 წლებში დაბადებული 40 ბავშვი უკვე ვარჯიშობს. ნოდარ ახალკაცის სახელობის აკადემია მთლიანად მოიცავს კახეთის რეგიონს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა მადლობა გადაუხადა პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს და საქართველოს მთავრობას მხარდაჭერისთვის.

ბაზის საცხოვრებელი კომპლექსი 110 ადამიანზეა გათვლილი.

ტურნირი ჩოხატაურში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, ჩოხატაურის სასპორტო სკოლაში ტრაგიკულად დაღუპული მოჭიდავეების – ხვიჩა ცინცაბაძისა და ზურაბ ბიბინეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი VII რესპუბლიკური ტურნირი დასრულდა.

ტურნირს ორგანიზება გაუწია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრმა.

ზუგდიდის მერიის წარმომადგენლები ოქტომბრის საჯარო სკოლაში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლებმა სოფელ ოქტომბერში საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს. მიმდინარე წელს, მერიის დაფინანსებით, აქაურ საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემისთვის საჭირო სამფაზიანი ელექტრომომარაგების სისტემა დამონტაჟდა.

საჯარო სკოლების ხელშეწყობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ფოთი – საჯარო სამსახურში სტაჟირების პროგრამა ახალგაზრდებისთვის

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას ბრძანებულებით განისაზღვრა იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ფოთის მუნიციპალიტეტში 2018 წლის გაზაფხულზე სტაჟირებას გაივლიან.

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია:

პირს, რომელიც სწავლობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და არის დამამთავრებელი სემესტრის (ბოლო ორი სემესტრი) სტუდენტი ან სწავლობს სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე და სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება GPA-ით (მინიმუმ 3.0 შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში GPA-ის გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში) ან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (მინიმუმ B, ანუ ძალიან კარგი 81–90%);

აგრეთვე პირს, რომელმაც დაასრულა ბაკალავრიატის, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან გასული არ არის ორ წელიწადზე მეტი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ცხელ ხაზს ტელეფონზე: (+995 32) 2197755

სტაჟირებაზე რეგისტრაცია დაიწყება 2018 წლის 30 აპრილს ვებგვერდზე stajireba.gov.ge

მარტვილი – შეხვედრა დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებთან

სამეგრელოს რეგიონში პოტენციური დაცული ტერიტორიების დაარსების პერსპექტივების შესახებ – ასე ჰქვია პროექტს, რომლის პრეზენტაცია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა.

პროექტი წარადგინეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსმა ნატო სულთანიშვილმა, WWF გარემოს დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის პროგრამის კოორდინატორმა ლაშა მოისწრაფიშვილმა, მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციის დირექტორმა ზაზა გაგუამ.

შეხვედრას ესწრებოდნენ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი რობერტ კოტია, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია, მერიის წარმომადგენლები და საკრებულოს წევრები.

სენაკი – შეხვედრა ახალსოფლის მოსახლეობასთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველ მოადგილე გრიგოლ ბაღათურიასთან და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემებსა და საჭიროებებს გაეცნო.

ბოლნისის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი საქართველოს მელიორაციის წარმომადგენლებთან გამართულ სამუშაო შეხვედრას დაესწრო

სამუშაო შეხვედრის მიმდინარეობისას კომპანიის წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს ადგილზე არსებული საჭიროებების შესახებ. საქართველოს მელიორაციის წარმომადგენლებმა კი წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებულ კონკრეტულ წინადადებებზე ილაპარაკეს.

ბოლნისი

ადიგენის მუნიციპალიტეტში

ადიგენის მუნიციპალიტეტში, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით ქალთა საერთაშორისო დღე საზეიმო ვითარებაში აღინიშნა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, გამგებლის მოადგილეებმა მინდია ჯელიამ, არსენ ბალახაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ ძაძამიამ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ღვაწლმოსილ ქალბატონებს 8 მარტის დღესასწაული მიულოცეს და საჩუქრებიც გადასცეს.

დმანისელი საუკუნის თანატოლი ქალბატონები

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და ა(აიპ) კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერით დმანისში საუკუნეს გადაცილებულ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს.

თეთრიწყაროს განვითარების სტრატეგია

ქალაქ თეთრიწყაროში ასოციაციის – „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) – ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფმა განიხილა და დაამტკიცა თეთრიწყაროს განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი და საგრანტო კონკურსის განაცხადისა და შეფასების ფორმები, გაიმართა RDFG-ის დასაქმების პროგრამის პრეზენტაცია და განხილვა.

თვითნებური კონსტრუქციების დემონტაჟი მარნეულში

მარნეულში ჯიხურების, დახლებისა და სხვა მსუბუქი კონსტრუქციების თვითნებური მონტაჟი და განთავსება ერთ-ერთი მწვავე საკითხია. აღნიშნულთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება მსგავსი ნაგებობის დემონტაჟის დაწყების შესახებ. მარნეულის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, კანონის შესაბამისად, განხორციელდა ცენტრალური საავტომობილო გზის (მარნეული-სადახლო, კოსტავას ქუჩის გავლით) ნაპირებზე განათავსებული ზოგიერთი უსახური კონსტრუქციების დემონტაჟი.

მოსახლეობამ უკმაყოფილება მერიის წინ შეკრებით გამოხატა. შეკრებილ მოვაჭრეებს, რომლებიც მერის გადაწყვეტილების შეცვლას ითხოვდნენ, თემურ აბაზოვი პირადად შეხვდა.

შეხვედრები წალკის სოფლების მოსახლეობასთან

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორის ადმინისტრაციის პირველი პირები რეგულარულად ხვდებიან სოფლების მოსახლეობას. ამჯერად შეხვედრები გაიმართა წალკის მუნიციპალიტეტის სოფლების – კიზილკილისა და კოხტის, აგრეთვე დაბა თრიალეთის მცხოვრებლებთან.

ლაგოდეხი

ზვიად ბახუტაშვილი:

ოპერაციები, რასაც ჩაფიძის სახელობის კლინიკაში ვაკეთებთ, ბერნის საუნივერსიტეტო კლინიკაში ჯერ კიდევ არ დანერგილა



— რა ხდება, ბატონო ზვიად, გულის დაავადებების კუთხით საქართველოში? გახშირდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები? გულის ქირურგია უფრო შრომატევადი გახდა?

— ვერ ვიტყვით, რომ გახშირდა, რადგან საქართველოს მასშტაბით არ არსებობს სრული აღრიცხვიანობა. იყო წლები, როცა გულ-სისხლძარღვთა ქირურგიას მოსახლეობის 10% მიმართავდა, შემდეგ ვითარება შეიცვალა. დღეს, შესაძლოა, უფრო მეტ ადამიანს სჭირდებოდეს ამ კუთხით კვლევა, მონიტორინგი, მაგრამ ეს სერიოზულ ხარჯებს მოითხოვს. ჩვენთან უნდა იყოს დასავლეთ ევროპის დონის ეკონომიკა, ოჯახის ექიმი, პოლიკლინიკა, ამბულატორიული ნაწილი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ადამიანის ჯანმრთელობის საქმეში, დროზე რომ მოხდეს დიაგნოსტირება. ასეთი სურათი თუ გვექნება, მაშინ უფრო ნათლად გვეცოდინება, მოიმატა თუ არა ქვეყანაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებმა.

მსოფლიოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ასე ვთქვათ, ნომერ პირველ მკვლელ დაავადებად ითვლება. მისით გარდაცვლილთა რიცხვი ონკოდაავადებებით გარდაცვლილებთან შედარებით, გაცილებით მეტია. ამას ემატება ისიც, რომ მთელ მსოფლიოში საშუალო ასაკი გაიზარდა, სიცოცხლის ხანგრძლივობა ბევრ ქვეყანაში 80 წელს გადასცდა, შესაბამისად, მოიმატა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებმა, ამიტომ გარკვეულ პოპულაციაში გაიზარდა თუ შემცირდა დაავადებების ინტენსივობა, ამაზე ზედაპირულად ვერ ვისაუბრებთ.

— ჩვენი ეროვნული ხასიათი და ბუნება ჯანმრთელობის კითხით გარკვეულ როლს ხომ არ თამაშობს?

— დაბალი სოლარიზაციის ქვეყნებში ბევრად უფრო დაბალია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი. მაგალითად, იტალიაში 1 მლნ მოსახლეზე ბევრად ნაკლები ოპერაცია კეთდება, ვიდრე გერმანიაში, უფრო მეტი კეთდება ფინეთსა და ნორვეგიაში. მნიშვნელოვანია ხმელთაშუა ზღვის მედიტერანული კვების სტილი, სადაც ზეთისხილი და სხვა მსგავსი საკვები ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შესაძლებლობას. თუმცა ევროპაში მკვეთრი განსხვავებაა — რაც უფრო ჩრდილოეთით მიდიხართ, დაავადებების რისკი მეტია.

— მოგვიყევით გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკის კუთხით ქართულმა სამედიცინო და პრაქტიკულმა მეცნიერებამ უკანასკნელ წლებში რა წარმატებებს მიაღწია?!

— მეცნიერება ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. საბჭოთა კავშირის დროს ექიმი მეცნიერიც უნდა ყოფილიყო, თუმცა ახლა სხვა ვითარებაა — პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ახალი ოპტიმალური რეკომენდაციები გაცილებით მნიშვნელოვანია. მაგრამ ჩვენნაირი მცირე მოსახლეობისა და ეკონომიურად დაბალგანვითარებული ქვეყანა თუ მოახერხებს მოწინავე ტექნოლოგიების კარგი კოპირება გააკეთოს, ეს იქნება დიდი მიღწევა. 17 წელიწადია ჩვენს კლინიკაში კარდიოქირურგიის განყოფილება ფუნქციონირებს და პირველი იყო კორონალური შუნტირება, ანუ გულის იშემიური დაავადების — ინფარქტის პროფილაქტიკა, რომელიც ჩვენთან განხორციელდა. ეს იყო ყველაზე ფართოდ მოთხოვნადი ჩვენს საზოგადოებაში, დღეს გულის დაავადებათა სრულ სპექტრს ვმკურნალობთ, როგორც მედიკამენტოზურად, ასევე ოპერაციული ჩარევის თვალსაზრისითაც. დღეს მკურნალობის ასეთი სრული სპექტრი ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არ არსებობს.

ორიოდე დღის წინ გავაცილე ჩემი კოლეგა და მეგობარი შვეიცარიის ქალაქ ბაზელიდან. მას ძალიან გაუკვირდა, როცა ჩვენს მიერ ჩატარებული ოპერაციების შესახებ შეიტყო. იმ ოპერაციებს, რასაც ჩვენ საქართველოში, ჩაფიძის კლინიკაში ვაკეთებთ, ბერნის საუნივერსიტეტო კლინიკაც კი არ აკეთებს.

მერწმუნეთ, სხვას რომ ეთქვა ეს, არ დავიჯერებდი, რადგან ბერნის კლინიკას თითო პაციენტზე უზარმაზარი ბიუჯეტი აქვს განსაზღვრული. ჩემი მეგობარი ცნობილი ექიმია ბაზელში, ბაბუამისი ნობელის პრემიის ლაურეატი იყო. ის თავის პროფესიაში ცნობილი და გამოცდილი ადამიანია და ძალიან გაუკვირდა, საქართველოში ასეთი ოპერაციების გაკეთების შესახებ რომ გაიგო, რასაც გერმანიაში, ჯერ არ აკეთებენ.

— კერძოდ, რომელ ოპერაციებზე საუბრობთ?

— მაგალითად, მინიინვაზიური მიდგომები. ეს მართლაც იშვიათი ოპერაციაა — აორტის სარქველს ვცვლით პაციენტის გულის პერანგიდან გაკეთებული სარქველით. ამ მათოდით პირველად ერთმა იაპონელმა ქირურგმა ჩაატარა ოპერაცია. მსგავს ოპერაციებს გასული ზაფხულის სტატისტიკით, მსოფლიოში, დაახლოებით, 30 კლინიკა აკეთებდა. უკვე ორი წელიწადი ხდება, რაც წარმატებით ვაკეთებთ ამ ტიპის ოპერაციებს. მსგავს ოპერაციას ამიერკავკასიასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსად არ აკეთებენ, არც აღმოსავლეთ ევროპაში, თუ არ ვცდები, ერთგან, მხოლოდ პოლონეთში ტარდება ასეთი ოპერაციები.

უნდა აღვნიშნო, რომ ოპერაციების დროს ვცდილობთ, პაციენტს შევუნარჩუნოთ სარქველის აორტალური და მიტრალური და სტრუქტურები. სარქველების შენარჩუნების ძალიან მაღალი მაჩვენებელი გვაქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სტატისტიკის თვალსაზრისი თ. ეკონომიურად მდიდარ ქვეყნებშიც კი ბევრი კლინიკა არ იტკიებს თავს, იზრუნოს ოპერაციის დროს სარქველების შენარჩუნებაზე, რადგან ეს ძალიან რთული, მაღალტექნოლოგიური პროცესია — მეტ ენერგიას და დროს მოითხოვს და მედიკოსები, ძირითადად, უფრო მარტივი გზით მიდიან — სარქველს მთლიანად იღებენ, არადა, საკუთარი სარქველით პაციენტს უფრო დიდხანს სიცოცხლის შანსი ეძლევა. ჩვენ ვცდილობთ, რა მონაპოვარიც გააჩნია თანამედროვე მედიცინას, ყველაფერი სრულად გამოვიყენოთ.

— თქვენ თუ მოინდომეთ, სხვა ქვეყნებში, იგივე, მაგალითად, რუსეთში, რატომ არ ისურვეს ქირურგებმა ამის გაკეთება, რა უშლით ხელს?

— მე არა ვარ განსაკუთრებული, უბრალოდ, ცოტა ზედმეტად უნდა დაიტვირთო, თავი შეიწუხო. ყველა შეძლებს ასეთი ტიპის ოპერაციების გაკეთებას, თუ მოინდომებენ და ნერვებსა და ენერგიას არ დაზოგავენ პაციენტის ჯანმრთელობისთვის.

— დაბოლოს, რითი შეიძლება ავიცილოთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები?

— პირველ რიგში, არ მოსწიოთ თამბაქო. თამბაქო გულის პირდაპირი „მკვლელია“. ერიდეთ ურეჟიმო კვებას. გაერიდეთ ჭარბ წონას. ვითარებას ართულებს უმოძრაობა და სტრესი, ხოლო თუ არსებობს მემკვიდრეობითი სნეულებები ან მიდრეკილებანი გარკვეული დაავადებებისკენ, იმ მიმართულებით მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„თავს ვაიძულებ, გავაღწიო სამყაროს მიღმა“

წინასიტყვაობა თემურ ჭკუასელის წიგნისთვის „კენჭები თირკმელში“

თემურ ჭკუასელის ამ ვრცელი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ჩვენი საერთო უფროსი მეგობრის ლექსის სტრიქონები გამახსენდა:

„ხანდახან, როცა
ნაღვლიანი ფიქრები მიხმობს
და გონს განწყობა
ეუფლება მძიმე, სასუდრო,
თავს ვაიძულებ,
გავაღწიო სამყაროს მიღმა
და ზეციერი სიმაღლიდან
ვჭვრიტო საწუთრო.“..

ეს სტროფი ვახუშტი კოტეტიშვილის „ფიქრის სონეტიდანაა“. თემურ ჭკუასელის „კენჭები თირკმელში“ ერთი გაბმული ნაღვლიანი ფიქრით მონაყოლია, რომელშიც ფიქრთან ერთად თავისუფლების ახალ სივრცეს ვხვდებით, დრო-ჟამით შემოუზღუდავს. ცნობილ გამოთქმას მოვიყვან — სტილია ავტორი, ტექსტიც, სიტყვაც და აზრიც. თემურ ჭკუასელის სტილს სხვადასხვა მხატვრული ხერხი განსაზღვრავს, რომლის მიგნებასაც იგი რამდენიმე ათეული წელია ცდილობს; ესაა თხრობის ლაღი, ზოგჯერ მსუბუქი, იუმორით გაჯერებული და, ამავე დროს, სევდით, ფილოსოფიური სიღრმით გადმოცემული ამბის მოყოლის მანერა.

იუმორი ვახსენე: ვინც თემურ ჭკუასელს იცნობს, არ იუცხოვებს მის მიერ სარკაზმით აღწერილ ისტორიებს, ზოგჯერ მხოლოდ მისი კუთხის შვილისთვის სახასითოდ გადმოცემულს, წრფელ ღიმილს რომ მოგგვრის, ან ხარხარსაც კი აგატეხინებს; უფრო მთავარი კი დამაფიქრებელი იუმორია, უშუალოდ ავტორის მიერ განცდილი, დიდრონ თვალებში ცრემლჩამდგარს რომ მოუყოლია, თან გაცინებს და, ამავე დროს, წუთისოფლის ავ-კარგზე ჩაგაფიქრებს, უსაშველო ნაღველს დაგიტოვებს გულში, თანაგანცდით აგიყოლიებს.

მოთხრობაში უცნაურად გაადამიანურებულ საგნებს წააწყდებით: აწგაზარმაცებულ ბილიკს, წინათ მგზავრთა ტერფებით გადაღლილს, ამავე ბილიკზე მიმობნეულ ცბიერი გრძნობების ნამცეცებს; დღის გარდაცვალების გამო მგლოვიარე ღრუბლებჩამოშლილ მთებს; ზღვას, რომელიც თავს იხრჩობს... ან გინახავთ ტელეფონი, რომელსაც ისე გააჟრჟოლა, თითქოს ვიღაცამ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან დარეკა?! მოუსმინეთ ფანჯრის რაფაზე წვიმის ზერელე კაკუნს დილის ჩაის პურზე წასმულ ფიქრებთან ერთად. იქნებ, ბევრ ჩვენგანს



შეხებია დიდი ხნის უნახავი, ოთახში შემოვარდნილი შვილიშვილისგან ატეხილი ხმაური, სათამაშოების ძველი ყუთიდან ამოღებული ავტომატის კაკანით გამოწვეული, სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში ბაბუას ფიქრებს უმოწყალოდ რომ ხოცავს?! ეს კი სულ სხვა რიგის წარმოსახვითი სურათია: ცას თანდათან ისე ეცვლებოდა ფერი, თითქოს წყალჩარჩენილ ჭიქაში ვიღაც წვეთ-წვეთობით უმატებდა და უმატებდა შავ ღვინოს. ღამდებოდა, მოკლედ...

ჩემივე გამოგონილი ლიტერატურული გმირების ემოციებს ვეღარ ვმალავ... აღარც ისინი მიჯერებენ და მეკარგებიან, — წერს ერთგან მთხრობელი; და, მართლაც, ჩვენ თვალწინ ჩაივლის სამი განზომილებით მცხოვრები გმირის სიცოცხლის კადრები, გამონაგონისა და სიმართლის ნაზავი, თუმცა მოთხრობაში გამონაგონსაც სიმართლედ აღვიქვამთ. ზოგს შეიძლება არსებობის მეტი განზომილებაც ჰქონდეს, მაგრამ ავტორისთვის ისინი საკუთარი თავისა და წუთისოფლის ავ-კარგის შეცნობის ორიენტირებია; ეს ორიენტირები მკითხველსაც სჭირდება ტექსტის გასააზრებლად: ერთია ცხადი, მეორე სიზმარი და მესამე ფიქრი. თითოეულ მათგანს მოთხრობაში თავისი დანიშნულება აქვს, თუმცა კი ავტორს პირველივე გვერდებიდან გაფრთხილებული ვყავართ: როგორც იქნა, მოვახერხე და ისეთი რამ დავწერე, ძალიანაც რომ მოინდომოთ და სულ ფურცელ-ფურცელ ეძებოთ, ისეთს ვერაფერს ამოიკითხავთ, ან დაფიქრება გაიძულოთ, ან ოდნავ მაინც აგაღელვოთ, ან ცრემლი აგიშალოთ, ან ნერვები. ყველაფერი თავის ტკივილივით ნათელიაო. ამ გაფრთხილებაში ზოგმა გულწრფელობა შეიძლება დაინახოს, სხვამ თავმდაბლობა, ან სულაც თვითირონია. ეს, ალბათ, არც არის არსებითი. მთავარი ავტორის ამოცანაა, როგორი განწყობა შეუქმნას მკითხველს, რა დაუტოვოს საფიქრალად.

მოთხრობაში რამდენიმე იგავურ და ალეგორიულ სახეს ვხვდებით. განსაკუთრებული კი ხუთი ჭოტია, რომლებიც არღვევენ ბუს და ყორნის მითოლოგიურ-ბიბლიური წყაროს გააზრებას. სიტყვა „ბუ“ ერთგვარი ირონიული სემანტიკური ველითაა მოცემული, რადგან მას განუზომელი „დამსახურება ჰქონია კაცობრიობის წინაშე“; ესენია: ტოპონიმები — ბუ-დაპეშტი, ბუ-ქარესტი, ბუ-რგუნდია, ბუ-რუნდი; ყურძნის ჯიში ბუ-დეშური და სხვა მრავალი. თურმე ელია წინასწარმეტყველისთვისაც ყორანს კი არა, ბუს მიჰქონდა სინამდვილეში საკვები. მაგრამ ბრძენი ჭოტები, რომლებიც, პრაქტიკულად, უხმაუროდ დაფრინავენ, რადგან საკუთარი ფრთების შრიალი ღვთაებრივი მუსიკის მოსმენაში უშლით ხელს, მამაზეციერის დავალებით მოევლინენ ამ ქვეყანას და ბუები ჩაანაცვლეს. ამ ხუთი ჭოტიდან ერთ-ერთი, შიო, ავტორისთვის უწინდელი ცხოვრებიდან გადმოყოლილი, მისი ფიქრების წამკითხველი მეგობარი და მფარველია, ხოლო მეორე, დეპრესიაშეპყრობილი შაბური, ჭოტთაგან ერთადერთს ტირილი რომ შეუძლია, 5 000 წლის მანძილზე უშვებს სიბრძნეებს სივრცეში.

სწორედ მისი ზეციერი სიმაღლიდან განჭვრეტილი ზოგადსაკაცობრიო შეხედულებები გამხდარა სხვადასხვა ეპოქის ფილოსოფოსთა, მეცნიერთა, შემოქმედთა და ისტორიულ პირთა გამონათქვამების წყარო. აქ კი ავტორის დამოკიდებულებაც გამოიკვეთება, რომელიც კითხვადაა დასმული: რომელი უფრო ძნელია, თავს აიძულო ლაპარაკი, დუმილი თუ ფიქრი? — ამ კითხვას სხვადასხვა პასუხი შეიძლება მოეძებნოს, თუმცა გრძნობის იძულება კი სრულიად შეუძლებელია, და ტირილიც ხომ გრძნობისგანაა! სხვათა შორის, სიზმარიც, რომელიც, გარკვეული აზრით, შიფრია და რომლის ღია ტექსტად გადაქცევა შესაძლებელია.

ამგვარი სიზმარ-ცხადისეული ჩანართი არაერთია მოთხრობაში. ესენია ზღაპრად მოთხრობილი ნახევარყვინჩილას თავგადასავალი; ნამდვილ ამბად მოყოლილი ლეონიდ ლეონიდის ძის სევდიანი ისტორია, რომელიც ორგზის ლენინური პრემიის ლაურეატი იყო, თუმცა ჭაჭა ყველაფერს ავიწყებდა; თავად ავტორის წინა ცხოვრების მითოსური ანდრეზი; მოთხრობიდან შეიტყობთ მეგობრის ღალატისა თუ ერთგული ძაღლის შესახებ; დაბოლოს, ტოლობის — 1=2-ს ამოხსნას.

თუ ვიტყვით — 2=1-ს, მისი მნიშვნელობა ჭეშმარიტ სიყვარულადაც შეიძლება გავიაზროთ, როდესაც ქალი და მამაკაცი ერთ სულად და სხეულად ქცეულან. 1=2-ს როგორღა გავიგოთ? აქ მოთხრობის მთავარი ორიენტირი უნდა მოვიხმოთ: ესაა ის ცხადი, სიზმარი და ფიქრი, რომელთაც თავი მოუყრიათ ერთგულ ჭოტ შიოში, ავტორის ფიქრთა წამკითხველში და უკიდეგანო თვალსაწიერიდან მოყოლებული მთხრობელის მეორე მე გამხდარა. და კიდევ ერთი ყველაზე არსებითი ასპექტი: ეს გახლავთ თემურ ჭკუასელის მშვენიერი ქალბატონი, ნაწარმოების შექმნის შთამაგონებელი, ყველა ამბის თანმხლები, ყოველწამიერი საფიქრალი...

ალბათ, სათქმელი კიდევ ბევრი დარჩა.

არ ვიცი, რა გამომივიდა ამ ჩემი წინასიტყვით, მაგრამ დიდი სურვილი მქონდა, გულწრფელი სიტყვა გამომეთქვა.

სათაურის შინაარსი კი მკითხველმა ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ თავისი შთაბეჭდილების მიხედვით გაიაზროს.

გიორგი ალიბეგაშვილი

ქვეყნები, სადაც საშემოსავლო გადასახადი არ არსებობს

დედამიწაზე ბევრი ქვეყანაა, სადაც საშემოსავლო გადასახადი არ არსებობს და იქ ცხოვრებაც ძალზე სასიამოვნოა, მაგრამ იოლი სულაც არ არის, უბრალოდ ადგე, ბილეთი აიღო და იქ საცხოვრებლად წახვიდე.

ასე, მაგალითად, ამერიკის მოქალაქე ვალდებულია შეავსოს საშემოსავლო დეკლარაცია ისე, როგორც ქვეყნის მოქალაქემ, მაშინაც კი, თუ ის სხვა ქვეყანაში ცხოვრობს. ერთადერთი გამოსავალი, თავიდან აიცილო ამერიკის სასარგებლოდ საშემოსავლო გადასახადის გადახდა, ამ ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმა და იმ ქვეყნის მოქალაქეობა ან მუდმივ რეზიდენტად გახდომაა, სადაც ეს გადასახადი არ არის. ხშირ შემთხვევაში, ეს ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია. მეორეც, საგადასახადო ორგანოებმა, რომლებმაც დიდი ზარალი განიცადეს ათეულობით მილიონერისა და მილიარდერის გამო, რომლებმაც ლმობიერი საგადასახადო პოლიტიკის მქონე ქვეყნების მოქალაქეობა მიიღეს, გაამკაცრეს ამერიკის მოქალაქეობაზე უარის თქმის პროცედურა.

ბევრმა ქვეყანამ, რომელსაც დაბალი საშემოსავლო გადასახადი აქვს, ან საერთოდ არ აქვს ეს გადასახადი, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საფუძვლად ნავთობმოპოვება და ფინანსური მომსახურება აიღეს.



ანდორა

ა.შ.ს.

არაბეთის გაერთიანებული საემიროები

ახლო აღმოსავლეთში ბევრ ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში არ არის საშემოსავლო გადასახადი. მათ შორის ყველაზე მიმზიდველი არაბეთის გაერთიანებული საემიროებია, რომელსაც შედარებით მდგრადი ეკონომიკა აქვს და სტაბილური მთავრობა ჰყავს. ამ ქვეყნის ეკონომიკა ყვავის, საზოგადოება კი ახლო აღმოსავლეთში კულტურათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამის წყალობით ქვეყანაში საზოგადოებრივი კვებისა და გართობის შესანიშნავი ინდუსტრიაა განვითარებული.

ბაჰამის კუნძულები

სრულად შეძლებთ თუ არა საგადასახადო თავისუფლებით ტკბობას, იმაზეა დამოკიდებული, რა სახის ცხოვრების უფლებას მიიღებთ. ბაჰამის კუნძულები სწორედ ამის გამოა ყველაზე ხელმისაწვდომი საგადასახადო თავისუფლების მიღწევის თვალსაზრისით.

ბაჰამის კუნძულები

ცხოვრების უფლების მისაღებად საკმარისია გადაიხადოთ თანხა ერთი წლით ცხოვრების ნებართვისთვის, იყიდოთ უძრავი ქონება და მიიღოთ მუდმივი რეზიდენტის სტატუსი. კარიბის კუნძულებთან შედარებით აქ ცხოვრება უფრო იაფია.

ბაჰამის კუნძულებზე კარგი ინფრასტრუქტურა და მომსახურებაა. ერთადერთი დაბალგანვითარებული დარგი მედიცინაა. ყოფილი ამერიკელები სამედიცინო მომსახურებისთვის აშშ-ში მიემგზავრებიან.

ბერმუდის კუნძულები

საგადასახადო პოლიტიკის მიხედვით ბერმუდის კუნძულები ბაჰამის კუნძულებზე უფრო მიმზიდველია. თუმცა, აქ ცხოვრება უფრო ძვირია.

შედარებითმა იზოლაციამ ბერმუდის კუნძულებზე ცხოვრება დასავლეთY სამყაროში უფრო ძვირადღირებული გახადა. შედარებით მოკრძალებული ბინა თვეში 2000 დოლარი, ხოლო გალონი რძე 10–15 დოლარი ღირს. აქ კარიბის კუნძულებთან შედარებით ეკონომიკა უფრო განვითარებულია, არის მოწესრიგებული გზები და შესანიშნავად აწყობილი საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ამასთან, ვარდისფერი ქვიშით დაფარული პლაჟებისა და ფეშენებელური რესტორნების წყალობით, ბერმუდის კუნძულები კარიბის რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე თვალწარმტაც ადგილად ითვლება. აქ მცხოვრები ამერიკელების უმრავლესობა კარგად განვითარებულ საფინანსო სექტორში მუშაობს.

ანდორა

ეს პატარა ქვეყანა საფრანგეთსა და ესპანეთს შორის არის შეყუჟული პირენეის მთებში. ანდორაზე ზეწოლა ახდენს ევროკავშირი, რომელიც მოითხოვს მისგან საშემოსავლო გადასახადის შემოღებას, მაგრამ ქვეყანა ჯერჯერობით თავისუფალი რჩება. საშემოსავლო გადასახადების სისტემა რომც შემოიღონ, ეს უფრო ევროკავშირის მისამართით სიმბოლური ჟესტი იქნება.

მდებარეობის გამო ანდორა ძალზე თვალწარმტაცი ქვეყანაა. ეს მშვენიერი სახელმწიფო თავისუფალია არა მარტო საშემოსავლო გადასახადის, არამედ დამატებითი ღირებულების გადასახადიდანაც, რის გამოც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან აქ ჩადიან სიგარეტის, სასმელის, ტანსაცმლისა და ელექტრონიკის შესაძენად.

ანდორაში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული საფინანსო სექტორია. ამ ქვეყნის მოქალაქეობისკენ მიმავალი გზა ძალზე ხანგრძლივია — ნატურალიზაციას დაახლოებით 10 წელი სჭირდება.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს **„ივერონი – ხინკლის სახლი“**. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს **„ივერონი – ხინკლის სახლი“** მისი ხელმძღვანელის ქალბატონი **ნინო თევდორაშვილის** თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან **„ივერონი – ხინკლის სახლში“**. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“
ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001